სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 15 თებერვალი 2001 №25 (1298) | ფასი 50 თეთრი

ამხანაგური მატჩი

საქართველო 0:0 უკრაინა

14 თებერვალი. თბილისი. ეროვნული. 15 საათი. 35 000 მაყურებელი

ამხანაგური მატჩი სიყვარულის დღეს

ქართველთაგან საუკეთესო „ცალი ფეხით ინგლისელი“ ზურაბ ხიზანიშვილი იყო

ფოტო ალექსანდრ ბახალაძის

ჩაშსწრებს კახა კალაძე ალბერტო ძაკერონის?

ARRIVEDERCI, ZAC?

UEFA CHAMPIONS LEAGUE

მილანურმა ფრემ ალბერტო ძაკერონის ბედი სასწორზე შეაგდო. ბოლოდროინდელი მარცხიანი სერიის შემდეგ „მილანის“ მწვრთნელს მოგებას სთხოვდნენ, არ გამოვიდა და... თბილისიდან მილანში დაბრუნებულ კახა კალაძეს შესაძლოა ძაკერონისთან დამშვიდობებამ მოუწიოს. „გალათასარაის“ მწვრთნელ მირჩა ლუჩესკუს კი რა უჭირს, სუათის გოლმა „დეპორტივოსთან“ თურქები B ჯგუფის სათავეში მოაქცია.

იხილეთ მეორე გვერდი

ვალენსია — მანჩესტერ იუნაიტედი. ფაბიენ ბარტეზმა გაიცა მენდიეტას ცოცხალი თავით არ გაატანინა

REUTERS ვალენსიიდან

A ჯგუფი		B ჯგუფი	
ვალენსია	0	მილანი	1
მანჩესტერი	0	პარი სენ ჟერმენი	1
შტურმი	2	გალათასარაი	1
პანათინაიკოსი	0	დეპორტივო	0

ფუხელ

ჩემპიონთა ლიგა
II ეტაპი. III ტური

A ჯგუფი

ვალენსია 0:0 მანჩესტერ იუნაიტედი

ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, აიალა, პელეგრინო, კარბონი, ანგულო, ბარახა, მენდიეტა, კილი გონსალესი, ბიმარი, კარეუ (დიეგო ალონსო 74)

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

მანჩესტერ იუნაიტედი: ბარტეზი, გ. ნევილი, სტამი, ბრაუნი, სილვესტრი, კინი, ბექჰემი (ბათი 74), სქოულზი, გიგზი, შერინგემი, ენდი კოული (სოლსკიაერი 85)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: პელეგრინო, სქოულზი, სილვესტრი, აიალა, სტამი

მსაჯი: დიკ �ილი (პოლანდია)

40 000 მაყურებელი

შტურმი 2:0 პანათინაიკოსი

1:0 ჰაასი (60), **2:0** კოციანი (85)

შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, პრილასნიგი, კორსოში, შოპი (იბერტსბერგერი 78), შუბი, ფლურკინი, მინავანდ ჩალი, კოციანი (საბიჩი 90), ვასტიჩი, იურანი (ჰაასი 56)

მწვრთნელი: ივიცა ოსიმი

პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, სარიჩი, ჰენრიკსენი, გუმასი (ნასიოპულოსი 77), ვოკოლოსი, ბასინასი, კუცურესი, ოლივარესი (ბოატენგი 53), ვარეტისა, კარაგუნისი (პაულუ სოუზა 66), ლიბეროპულოსი

მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი

გაფრთხილება: კუცურესი, გუმასი

მსაჯი: რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)

16 500 მაყურებელი

მანჩესტერი	3	2	1	0	5:1	7
ვალენსია	3	1	2	0	2:0	5
შტურმი	3	1	0	2	2:4	3
პანათინაიკოსი	3	0	1	2	1:5	1

B ჯგუფი

მილანი 1:1 პარი სენ ჟერმენი

1:0 ლეონარდო (27), **1:1** ანელკა (30)

მილანი: აბიატი, სალა, როკე ჟუნიორი, მალდინი, პელეგეი, ალბერტინი, სერინიო, ჯუნტი, ლეონარდო (კომანდინი 77), შევჩენკო, ბირბოფი (ბა 46)

მწვრთნელი: ალბერტო ზაკერონი

პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, მენდი, ა. სისე, დეფ, დისტინი, დომი, დეფურო, არტეტა (ოკოჩა 68), ე. სისე (ლეურუა 90), ბენარბია (რობერი 57), ანელკა

მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი

გაფრთხილება: პელეგეი, დისტინი, მენდი

გაძევება: როკე ჟუნიორი (42)

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

50 043 მაყურებელი

გალათასარაი 1:0 დეპორტივო

1:0 სუათი (11)

გალათასარაი: ტაფარელი, ფათიჰი, პოპესკუ, ბიულენთი, ჰაქან უნსალი (ერგუნი 26), დაფალა უმითი (ოკანი 64), სუათი (არიფი 81), ემრე, ჰაჯი, ყარდელი, ჰასან შაში

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

დეპორტივო: მოლინა, მანუელ ბაბლო, რომერო, ნაიბეტი, დონატო, ვალერონი, ჯალმინია (ბანდიანი 78), მაურო სილვა, სკალონი (ვიქტორი 55), ფრანი, დიეგო ტრისტანი (მაკაი 60)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: ემრე, მაურო სილვა, ჰასან შაში

მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

19 000 მაყურებელი

გალათასარაი	3	2	1	0	4:2	7
მილანი	3	1	2	0	4:3	5
დეპორტივო	3	1	0	2	3:3	3
პარი სენ ჟერმენი	3	0	1	2	2:5	1

REUTERS სტამბოლიდან

გალათასარაი — დეპორტივო 1:0. სუათ კაია — გოლიც კაია

REUTERS მილანიდან

მილანი — პარი სენ ჟერმენი 1:1. პარიზელთაგან გოლის გამტანმა ნიკოლა ანელკამ როკე ჟუნიორიც შეიწირა

REUTERS გრაციდან

შტურმი — პანათინაიკოსი 2:0. ან წაართმევს, ან წააკცევს: მასპინძელი მარკუს შოპი და სტუმარი რენე ჰენრიკსენი (№2)

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

გადადებული მატჩები

ულმი 2:4 მიონხენგლადბახი

0:1 ტერ ავესტი (38), 0:2, 0:3 დემო (51, 68), 1:3 კოფლეჩი (81), 1:4 ვან ბუიტენ (88), 2:4 შარინგერი (90)

ობერჰაუზენი 0:0 არმინია ბიელეფელდი

1:0 ხოჯი (18), **1:1** რანი (45), **2:1** ბლესნეგერი (55), **3:1** ბენდერი (85ჯ), **4:1** ბუტველკერი (90)

ჰოლანდია

თასის 1/4 ფინალი

პერენვენი — ფეიენოორდი

25-ე წუთზე, 0:0-ზე თამაში შეწყდა

ამხანაგური მატჩი

ისრაელი 1:0 მოლდოვა

1:0 კეისი (35)

ისრაელი: დავიდოვიჩი (ელიმელეხი 46), ბენადო, ტალქარი, შელახი, გერშონი, კეისი, ბანინი, ნიმნი (ბადირი 74), კატანი (კაკონი 46), ბენაიონი (ტალი 46), ზეიტუნი

მოლდოვა: ხმარუკი, კოვალენკო, რებეია (მაკეიცი 61), ტესტიმიცანუ, სოსნოვსკი, სტრატულატი (პოგრებანი 74), შიშკინი (ზეფოტარი 46), ოპრია (გაიდამაშუკი 46), ეფურეანუ, ბორეცი, კლეშჩენკო (როგაჩევი 69)

მსაჯი: ანდრიას გეორგიუ (კვიპროსი)

5 000 მაყურებელი

კალათბურთი
სუპერლიგა

ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. 14 თებერვალი

A ჯგუფი	B ჯგუფი
სპლიტი 76:65 რაანანა ალბა 74:68 ვილერბანი	ირაკლისი 74:62 ოსტენდი

REUTERS სპლიტიდან

სპლიტი — რაანანა 76:65. თითის წაკვრა და რაანანელი გორან სავანოვიჩი ბურთს ჩააგდებს, სპლიტელი როს ლენდი კი მაყურებლადღა რჩება

ამხანაგური მატჩი

საქართველო 0:0 უკრაინა

14 თებერვალი. თბილისი. ეროვნული. 15 საათი. 35 000 მაყურებელი

სიუჟეტი ბურთივით ასტა, დასტა...
რაც მინდორი, ის ქვე-ყანა

ბადრი კბილაძის ფოტო

მილანელი კახა კალაძის დებიუტი ეროვნულზე

საქართველო

1. გვარამაძე
5. ქემოკლიძე
2. სილაგაძე
4. რეხვიაშვილი
3. კობიაშვილი
10. ჯამარაული
13. ხიზანიშვილი
9. ქეცბაია
11. ა. არველაძე
8. ყაველაშვილი

უკრაინა

10. ვორობეი
11. მელაშჩენკო
8. ტიმოშჩუკი
9. კარდაში
3. ნესმაჩნი
7. ლისიცკი
6. დმიტრულინი
5. ვაშჩუკი
4. გოლოვკო
2. სტაროსტიაკი
1. შოვკოვსკი

შეცვლა: **კობიაშვილი — 16. თოდუა (46), სტაროსტიაკი — 15. პოპოვი (50), არველაძე — 15. მენთეშაშვილი (52), ჯამარაული — 18. აშვეთია (60), ყაველაშვილი — 14. ცქიტიშვილი (66), კარდაში — 14. ვენგლინსკი (68), მელაშჩენკო — 16. ხომა (81)**

გაფრთხილება: **დმიტრულინი (42), რეხვიაშვილი (90)**

მსაჯები: **ხ. მამედოვი; რ. ასადოვი, ე. ნაგიბეკოვი (ყველა აზერბაიჯანი); ს. კვარაცხელია (საქართველო)**

უეფას დელეგატი: **ა. მილჩენკო (საქართველო)**

ჯარიმა: **16:25;** კუთხური: **5:5;** კარისკენ დარტყმა: **7:5;** კარში დარტყმა: **4:4;** თამაშგარე: **1:2**

სოლომონ გულისაშვილი

ჯერ ეს ვთქვათ: როგორც იქნა, გვეღირსა და საქართველოს ნაკრებმა ჩვიდმეტთვიანი(!) შესვენების მერე თბილისში ითამაშა — 1999 წლის 8 სექტემბრს ჩვენები ევროშესარჩევ მატჩში ლატვიას დაუზავდნენ (2:2). შემდეგ, ლამის წელიწადნახევარში 12-ჯერ ითამაშეს და აქედან არც ერთი შინ...

მეორე: 1999-ის 20 მარტს ქართველებმა წელიწადი უკრაინასთან თბილისში ამხანაგურად წაგებით (0:1) დაიწყეს და იმ წელს თამაში აღარ მოუგიათ... ფუი, ეშმაკს და, გუშინდელი ფრე ეგებ უკეთესის საწინდარი იყოს.

მესამე და მთავარი: ის შთაბეჭდილება, რაც საქართველოს ნაკრებმა ლიტვა-იტალიის ტურნეს შემდეგ დაგვიტოვა, გუშინ არ გახუნებულა. ზოგი რამ მოგვეწონა, ზოგიც არა, მაგრამ ამხანაგური თამაშიც იმიტომ არის, რომ შავი და თეთრი მანამდე დაინახო, სანამ ურემი გადაგიბრუნდება.

რუმინელი დან პოლზანიც არ დაგვიწყდეს, ჩვენი მომავალი მეტოქის მზვერავი. ეს კაცი გუშინ „პაიჭაძეზე" მორჭმით იჯდა და ბლოკნოტს ჩანაწერებით ავსებდა. ვინ იცის, რა ამბებს ჩაუტანს ლადისლაუ ბოლონის, „ყვითლების" მთავარ მწვრთნელს. ცხადია, რაღაც საინტერესოს დაინახავდა, მაგრამ ასეთი „დახურული" თამაშის შემყურე ცალსახა დასკვნას ძნელად თუ გამოიტანდა.

კიდევ: მეორე ტაიმში ჩვენები თითქოს დაიღალნენ, მაგრამ არ გაემტყუნებათ. გუნდი მხოლოდ თამაშის წინა დღეს, სამშაბათს შეიკრიბა, მოთამაშეთ მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ხეირიანად არც უვარჯიშიათ და... თანაც შეხვედრა ამხანაგური იყო და, ბუნებრივია, ფეხბურთელები ერთმანეთს თავს არ შეაკლავდნენ. ტემპი მაღალი არ იყო და არც ესაა გასაკვირი.

ვამბობთ უკრაინას, ვგულისხმობთ რუმინეთს — ალბათ ასე შეიძლება გუშინდელი ბურთაობის პათოსის განსაზღვრა. ქართველთა მწვრთნელებმა განაცხადში შეყვანილი თექვსმეტი ფეხბურთელიდან თხუთმეტი გამოსცადეს და მხოლოდ მეკარე ირაკლი ზოიძე ვერ ვიხილეთ მინდორზე.

ჩვენების სასტარტო ტაქტიკური სქემა პირობითად ასე შეიძლება დავხატოთ: 3-2-3-2. დაცვაში მარცხნივ კალაძე, მარჯვნივ ქემოკლიძე, შუაში სილაგაძე. ორი საყრდენი, უფრო შემტევი ხიზანიშვილი და უფრო მცველი რეხვიაშვილი. ნახევარდაცვაში კობიაშვილი, ჯამარაული და ქეცბაია, შეტევაში აჩიკო არველაძე და ყაველაშვილი. მერე, როცა ყაველაშვილი გაიყვანეს, თამაში ერთი ფორვარდით გაგრძელდა, ხოლო ცქიტიშვილის მინდორზე გასვლას ხიზანიშვილის მარცხნივ გადასვლა მოჰყვა. კიდევ ვიტყვით, ეს მხოლოდ პირობითი სქემაა. რევაზ ძოძუაშვილი წამით არ მოდუნებულა, სკამზე არ დამჯდარა და ყველა შეცვლისას ფეხბურთელებს საფუძვლიანად არიგებდა.

კალაძემ რაღაც მილანურის მაგვარი ითამაშა. ერთთავად დაცვით იყო დაკავებული და შეტევაში მხოლოდ ორჯერ ჩაერთო, ერთხელ პირველი ტაიმის შუაში, როცა მოწინააღმდეგის კომბინაცია ჩაშალა, მეორედ კი თამაშის მიწურულს, კუთხურისას.

ხიზანიშვილი ქართველთაგან საუკეთესოდ მიიჩნიეს. ზურამ მართლაც კარგად ითამაშა, ბევრი იბრძოლა და კინაღამ დაშავდა კიდეც. რეხვიაშვილი კი მართლაც აღმოჩენაა. ალეკოს დიდი ხანია ვიცნობთ, ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრებიდან, მაგრამ ბოლო დროს ის ნამდვილ ლიდერად ყალიბდება. თვითონ ხომ იშვიათად შეეშლება და პარტნიორებსაც გონივრულად უძღვება. რეხვიაშვილს იტალიასთან მატჩის შემდეგაც ვაქებდით, მაგრამ „ცოცხლად" ნანახმა დაგვარწმუნა, რომ დღეს ალეკო ნაკრებისთვის შეუცვლელია.

თამაში ხისტი და ერთგვარად ძალისმიერიც იყო, თუმცა საგოლე მომენტი სულ რამდენიმე შეიქმნა. ქართველებმა მწყობრად დაიწყეს, მოწინააღმდეგეს პრესინგი შესთავაზეს. პირველ ნახევარ საათში დიდი ენერგია დახარჯეს. უკრაინელები კონტრშეტევის ვარიანტებს ეძებდნენ, მაგრამ მათი ორივე თავდამსხმელი ანდრეი ვორობეი და ალექსანდრ მელაშჩენკო თითქოს დანარჩენებს მოწყვეტოდნენ და ხეირიანად არც შეუტევიათ. სტუმართაგან ყველაზე სახიფათო მარცხენა ფრთაზე მოთამაშე ვასილ კარდაში გახლდათ. რევაზ ქემოკლიძეს მასთან გასამკლავებლად არცთუ ცოტა ოფლისღვრა დასჭირდა.

ქართველებმა ორი ნაღდი მომენტი შექმნეს, ორივე პირველ ტაიმში. მე-11 წუთზე უკრაინელებს ძელი და ალექსანდრ შოვკოვსკის იშვიათი რეაქცია დაეხმარა. სტუმართა მეკარემ ჯერ ჯამარაულის ახლოდან დარტყმული მოიგერია, დასწრებაზე ყაველაშვილმა ივარგა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოარტყა, მესამედ იქვე მყოფმა ქეცბაიამ დაამატა, მაგრამ კვლავ შოვკოვსკიმ აიღო...

მეორედ ტაიმის მიწურულს კობიაშვილის მარცხნიდან ჩაწოდებულს არველაძის სახიფათო თავური მოჰყვა, მაგრამ შოვკოვსკიმ ისევ იმარჯვა. რაღა გასაკვირია, რომ უკრაინელთაგან საუკეთესოდ სწორედ მათი კარის დარაჯი მიიჩნიეს.

არველაძე ვახსენეთ და მისი მონდომებაც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ. აჩიკომ ისე ითამაშა, როგორც ბოლო დროს „კიოლნში" სჩვევია ხოლმე. ხშირად ჩადიოდა საკუთარ ნახევარზე და მცველებსაც ჯაფას უადვილებდა. იგივე ითქმის ყაველაშვილზეც, თუმცა მიშასგან ასეთ თამაშს დიდი ხანია მივეჩვიეთ.

ქეცბაია, როელიც ნემსაძის არყოფნაში კაპიტნობდა, ჩვეული დახვეწილობით გამოირჩა. ბოლო დროს „ვულვზში" უთამაშებლობა საერთოდ არ ეტყობოდა. ჯიგრითაც იბრძოდა და რამდენჯერმე მოხდენილი, გრძელი პასიც გამოუვიდა. ერთ ასეთ გადაცემას სტუმართა კართან გვარიანი გაძწვავება მოჰყვა, მაგრამ ყაველაშვილს სტაროსტიაკმა დაასწრო.

ჯამარაულმა ერთხელ ისეთი რამ გააკეთა, მხოლოდ მას რომ შეუძლია — სამი უკრაინელი ლამაზად ჩამოიცილა და შეტევაც ეფექტურად გააგრძელა.

მეორე ტაიმის სიუჟეტი კი „პაიჭაძის" მინდორივით გახუნებული და ოღროჩოღრო გამოდგა. ორივე გუნდის თამაშმა დაკარგა სიმწყობრე და ტრიბუნებიც სულ ერთი-ორჯერ თუ ახმაურდა. ჰატარა სიხალისე თითქოს ჯამარაულის შემცვლელმა აშვეთიამ შეიტანა, მაგრამ ეს ნაპერწკალი ნაპერწკლადვე დარჩა.

მაშ ასე, უკრაინასთან მატჩი უკვე ისტორიაა. სიმართლე რომ ითქვას, თამაში დაახლოებით ისეთი გამოდგა, როგორსაც ველოდით. წინ კი რუმინეთია. იქ ქართველებიც სხვაგვარნი იქნებიან და სიუჟეტიც წარმოუდგენლად მძაფრი. ნეტავ რას ეტყვის პოლზანი ბოლონის...

ბურაკ დულანგაშვილის ფოტო

რევაზ ქემოკლიძესთან შეყრამ ანდრეი ნესმაჩნი წელში გაწყვიტა



ბადრი კბილაძის ფოტო

თემურ ქეცბაია გუშინაც დაუზარელი და გამორჩეული იყო

მატჩის შემდეგ

აზერბაიჯანელი არბიტრის საფინალო სასტვენისთანავე საქართველოს ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელები გასახდელში ჩაიკეტნენ და სახელდახელო, 15-წუთიანი კრება მოაწყვეს. პოლიციის ბედოვლათობით მაისურებზე თუ ავტოგრაფებზე მონადირე მოზარდების ნაკადი არ შემწყადარა. ის კი არა, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ დიდი ძალისხმევით გადალახა მომლოდინეთა ტალღა და ისე შევიდა ფეხბურთელებთან.

გასახდელიდან პირველი ლევან სილაგაძე გამოვიდა.

— სანახაობრივი თვალსაზრისით დიდი ვერაფერი მატჩი იყო, მაგრამ თავი არავის დაგვიზოგავს. ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა და უკმაყოფილო სულაც არ ვარ. ერთ ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, დაცვის ხაზს შეცდომა არ დაუშვია. გააზრებულად მოქმედებდნენ ნახევარმცველებიც. შედარებით პრობლემები გვქონდა თავდასხმაში, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა. ერთიცაა, რადგან ამხანაგური მატჩი იყო, მწვრთნელები მატჩის ბოლომდე გახსნას მოერიდნენ... მოკლედ, კმაყოფილი ვბრუნდები ბელგიაში. „ტორპედოს“ შევუერთდები, მერე კი ვნახოთ რა იქნება. არ არის გამორიცხული, უცხოეთშიც გავაგრძელო კარიერა.

ზურაბ ხიზანიშვილი მოედანზე მყოფთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

— ვერც კი წარმოვიდგენდი, საყრდენ ნახევარმცველად თუ მათამაშებდნენ. ბოლო წამს მწვრთნელებმა ასე გადაწყვიტეს და მგონი, გავამართლე კიდეც. თავი არ დამიზოგავს, ვგრძნობდი, მეტიც შემეძლო, მაგრამ ინგლისში ნატკენი კოჭი არ მაძლევდა გასაქანს, მაგრამ საგანგაშო არაფერია. ინგლისელ ექიმთაგან გაფრთხილებული ვიყავი, შეიძლება, ერთი-ორჯერ წამოგტკივდეს, მაგრამ მალევე გაგივლისო. ხვალ ლონდონში ვბრუნდები და იმედია, ჩემი საკითხი მალე გადაწყდება.

კახა კალაძე:

— ორი განსხვავებული სტილის გუნდი შეხვდა დღეს ერთმანეთს. ვერ ვიტყვი, რომ მეტოქე აშკარად დავჩაგრეთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ტოლი არაფერში დავუდეთ და ზოგიერთ კომპონენტში უკეთაც კი გამოვიყურებოდით. ეს მაინც ამხანაგური მატჩი იყო, ოფიციალურ შეხვედრამდე კი სრულად თავის წარმოჩენას, როგორც წესი, არ ცდილობენ და გამონაკლისი არც საქართველოსა და უკრაინის ნაკრებები ყოფილან.

ყველაზე ბოლოს გასახდელი ჯერაც სკონტროელმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა დატოვა.

ზურაბ ფალავანდიშვილის ფოტო

ალექსანდრე რეხვიაშვილი

— „სკონტოში“ კი ვბრუნდები, მაგრამ ვიცი, რომ მაქსიმუმ ორ თვეში ახალ კლუბში გავაგრძელებ კარიერას. რამდენიმე ვარიანტიდან მენეჯერები მალე საუკეთესოს შემირჩევენ. დღევანდელმა მატჩმა კი იმედის გრძნობა დამიტოვა. დარწმუნებული ვარ, საიმისო პოტენცია გაგვაჩნია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის პრეტენზია გვქონდეს. საკონტროლო მატჩს მაინც თავისი დატვირთვა აქვს, აი, რუმინელებთან კი ვეცდებით, სრულად გამოვაჩინოთ ჩვენი შესაძლებლობები.

ბაბა ძმანტალიანი

სანიტარული დღე
პირველადი დახმარება მსაჯებისგან

თბილისი
14 თებერვალი
12 საათი
შპალერი
1 500 (ტევადობა 3 000)

საქართველო 1:0 უკრაინა

ახალგაზრდულები

1:0 ბურდული (87)

საქართველო: მერლანი (ბათიაშვილი 46), საჯაია, ჩივაძე (ძამსაშვილი 68), აბრამიძე, კანდელაკი, მანწკავა (დიღმელაშვილი 46), იმედაძე (ამისულაშვილი 65), ასათიანი (სირაძე 69), კორღალიძე (ბურდული 46), წიტაიშვილი, ლ. მელქაძე (ლ. გვაზავა 46)

უკრაინა: რუდენკო, პასინინენკო, შერშუნი, კამარნიცკი, სკობა, ბელოზარი, დიდკოვსკი (ალექსეენკო 40), სემოჩკო (სამუტოვი 86), ტარანი (მატიუხინი 46), პოიდა (ბელიკი 39), შევჩუკი

სათადარიგო: სტარცევი;

გაფრთხილება: სემოჩკო (61)

გასვლები: კანდელაკი (63), ბელიკი (63)

მსაჯები: მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი);

დელეგატი: ო. გუნთაძე

15 ჯარიმა 16; 7 კუთხური 4; 6 დარტყმა 5; 2 კარში დარტყმა 2; 3 თამაშგარე 1

მამუკა კვანტალიანი

ისევ „შევარდენი“, ქართველ და უკრაინელ ახალგაზრდათა პაექრობა. ისევ 1:0 ჩვენებურთა სასარგებლოდ...

ნელი, უღიმღამო ბურთაობა, უამრავი ხარვეზი და შეცდომა, შემსრულებელთა შორის ბევრია ახალი. აქა-იქ ნაცნობ სახეებსაც მოჰკრავ თვალს და ძალაუნებურად ფიქრობ, რომ მსგავსი ორი წლის წინაც გინახავს.

ხურცილავას ნაკრები კარგ თამაშს რომ ვერ გვიჩვენებდა, ამას ადრევე ვიყავით შეგუებული. ზოგმა გუშინწინ დასასრულ წინასასეზონო შეკრება, ზოგმაც მზადება შეწყვიტა და ისე გამოცხადდა მწვრთნელთა განკარგულებაში.

ერთმა ტრავმა მიიღო, მეორემ იცრუა, მესამეს გამოძახება დაუგვიანეს... ჰოდა, გამოიყვანეს ახალგაზრდულის თავკაცებმა გადაღლილი და უღონო ნაკრები.

ჩვენ უფრო უკრაინელთა უჯიგრობამ გაგვაკვირვა. ფიზიკურად და ათლეტურად აშკარად ძლიერი მეტოქე მინდორზე უგულოდ, უილაჯოდ დაიარებოდა. სტუმრები თავიდანვე დაემორჩილნენ ქართველთა მიერ შეთავაზებულ დაბალ ტემპს და 90 წუთის მანძილზე აჩქარების სურვილიც არ გამოუმჟღავნებიათ.

ფეხბურთელებიც თითქმის ყველა ერთნაირი — ტანმაღალი, ჯანმაგარი და იმპროვიზაციის უნარს მოკლებული. ასეთი ჩანდა გუშინ უკრაინის ახალგაზრდული ნაკრები.

დროა, ჩვენებურებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. მწვრთნელებს მეკარეების მიმართ სასაყვედურო, ალბათ, არაფერი ექნებათ. მართალია, სამუშაოც თითქმის არ ჰქონიათ მერლანსა და ბათიაშვილს, მაგრამ პოზიციურად სწორად ითამაშეს.

ხურცილავამ ოთხი მცველი გამოიყვანა. აქედან ორი, ჩივაძე და კანდელაკი — დებიუტანტი იყო. ესენი ახლა იწყებენ, ამიტომ გულს არ გავუტეხთ, თუმც მეტ სითამამეს და თავდაჯერებას მოვთხოვთ. კანდელაკმა კი უნდა იცოდეს, რომ მეტოქესთან ბლარძუნსა და ძიგილაობას მინდორზე თავდადებული გარჯა სჯობს.

ნახევარდაცვას მეტი აგრესიულობა მართებს. ამის თქმა განსაკუთრებით საყრდენ მანწკავაზე იქნებოდა უპრიანი. ისიც დებიუტანტი გახლდათ, ნერვიულობა და შინაგანი დაძაბულობა დაღს ასვამდა მის გარჯას.

უფრო მეტი მოეთხოვებოდათ ასათიანსა და კორღალიძეს. საკადრისად ვერც ერთმა ითამაშა. მალხაზს გადაღლილობა ეტყობოდა, ლევანს უჩვეულო პოზიციაზე თამაში თრგუნავდა.

ლევან მელქაძე მარცხენა ჰავბეკი რომ არ არის, ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ ახალგაზრდული გუნდის თავკაცები მაინც ჯიუტად ცდილობენ ამის დამტკიცებას.

გაცილებით მეტს ველით გია იმედაძისგან. ბოლომდე ფორმაში ისიც ვერ იყო და საწყისი წუთების შემდეგ მისი ინერტულობა ამჯერად გადაღლილობას დავაბრალოთ.

კარგები იყვნენ აბრამიძე და წიტაიშვილი, ხოლო გუშინ კაპიტნად მოკლენილი საჯაია კი ჩინებული. მასზე არ უმოქმედია 17-ეღიან გადამფარავ შეკრებას და არც ამბავ-ბილისშე გუმანურ-გამთენიისას რომ ჩამოვიდა.

სწორი ბიგა გაუხავ. სახიფათო ჩანს სირაძე, მოუსვენარია ბურდული, თუმც მათ ფეხბურთელობამდე ჯერაც დიდი გზა აქვთ გასავლელი.

პირველ ტაიმში სახიფათო მომენტი ორივე კართან შეიქმნა. ჯერ ჩვენებურებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია. მელქაძემ იმედაძე გაიყვანა გარღვევაზე. გია ორ მცველს გაუსწორდა და ბურთი წიტაიშვილს დაუგდო. კობამ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. მერე ჩივაძეს მართებდა თავით გატანა, მაგრამ ბურთს საკადრისად ვერ დაჰკრა.

ტაიმის ბოლოს, ბელოზარის ჩაწოდების შემდეგ, დასწრებაზე ითამაშა ალექსეენკომ, მაგრამ იმანაც ააცილა კარს ბურთი.

მიუხედავად ქართველ მსაჯთა დიდი მცდელობისა, ჩვენებურები გოლის გამტანნი არც იყვნენ, მაგრამ სტუმრებმა მანამ არ დაისვენეს, სანამ გოლი თავიანთ კარში არ გამოიგონეს.

შეტევა მარცხნიდან გვაზავამ დაიწყო. ბურთი წიტაიშვილს მიაწოდა. კობამ მცველი ჩამოიტოვა და საჯარიმოში შეჭრილი ბურდულიც დროულად შენიშნა. ბურთს თითქოს უკრაინელთა მეკარე რუდენკო უნდა დაუფლებოდა, მაგრამ ხელიდან გაუვარდა (თუ გააგდო ვერ გავიგეთ) და მისი შეცდომით წამსვე ბურდულმა ისარგებლა.

გასაკვირი კიდევ ის იყო, რომ მეორე ტაიმის შუაწელიდან მოყოლებული, ჩვენი მწვრთნელები გამარჯვებაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, ოღონდ არ წაეგოთ და ფრეზეც ყაბულს იყვნენ. სხვაგვარად როგორ ავხსნათ დაცვის გაძლიერება და 0:0-ზე ერთი თავდამსხმელის ამარა დარჩა?!

ბოლოს ერთი უცნაურობაც შევნიშნეთ „შევარდენზე“. მატჩს ერთბაშად რვა ქართველი მსაჯი ემსახურებოდა. აქედან ოთხი უშუალოდ თავის მოვალეობას ასრულებდა, ოთხსაც წითელჯვრიანი მოსასხამი მოერგო და სათადარიგოებთან მოკალათებულებს სანიტრობაც შეეთავსებინათ.

უკრაინის ახალგაზრდული გუნდი ქართველი ფეხბურთელებისა და 8 ქართველი მსაჯის წინააღმდეგ თბილისში აბა, რას გააწყობდა?

პრესკონფერენციაზე

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ორივე მწვრთნელი მოვიდა, უკრაინელთა მწვრთნელთა კორპუსიც წყვილად გვეახლა — ვლადიმერ ვერემეევი და ლეონიდ ბურიაკი.

საპრესკონფერენციო დარბაზი სტუმარ-მასპინძელი ჟურნალისტებითაც შეივსო და კითხვა-პასუხიც გაჩაღდა. პირველი სიტყვა, რა თქმა უნდა, სტუმრებს ერგოთ.

ვლადიმერ ვერემეევი: შესარჩევი ციკლისთვის ვემზადებით და სპარინგ-პარტნიორი გვჭირდებოდა. მადლობელი ვარ, რომ თამაშზე დაგვთანხმდით — აუცილებლად უნდა გვენახა საქმეში ნაკრების კანდიდატები. თამაშის ხარისხით და შედეგით კმაყოფილი ვარ, კარგი და ჟინიანი ფეხბურთი იყო.

რევაზ ძოძუაშვილი: უკრაინული ფეხბურთი თავისი წარსულითა და თანამედროვეობით მსოფლიო მნიშვნელობისაა, თუნდაც ჩემპიონთა ლიგაში უკრაინული კლუბების გამოსვლა ავიღოთ.

მეტად შეუფერებელ პირობებში ნორმალური ფეხბურთი ვითამაშეთ. ჩვენი ბიჭები ევროპიდან უცებ ცუდ გარემოში მოხვდნენ — სიცივეში და ცხელი წყლის გარეშე. ერთი სიტყვით, ორგანიზაციული საკითხი ვერ იყო მოგვარებული სათანადო დონეზე.

მოხარული ვარ, რომ ჩვენმა ნაკრებმა ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა. მადლობელი ვარ უკრაინელებისაც, მათ კარგი ბრძოლა და დაცვის ძალა გვიჩვენეს. სტუმართაგან პირველ რიგში მეკარეს გამოვარჩევ.

ლეონიდ ბურიაკი: ძნელია მოსამზადებელი პერიოდის დროს სანახაობრივი ფეხბურთის ჩვენება, მინდვრის საფარიც არ ვარგოდა, ბრძოლა კი ნაღდად იყო. ტრადიციულად ტექნიკური ქართველი ფეხბურთელები ახლა ათლეტებიც არიან.

ვლადიმირ ვერემეევი: რა თქმა უნდა, ნაკრების კანდიდატების გამოცდა გვინდოდა, მაგრამ ჩვენს მიერ განხორციელებული შეცვლები იძულებითი იყო.

დავით ყიფიანი: ჩვენი შეცვლები კი არ იყო იძულებითი, უბრალოდ, ფეხბურთელები გამოვცადეთ. ჩაფიქრებული გვქონდა, მეკარეც შეგვეცვალა, მაგრამ მეკარეობა, ასე ვთქვათ, რთული ხელობაა და ჩავთვალეთ, რომ მისი შეცვლა ასეთი ხასიათის თამაშში სახიფათო იქნებოდა.

რევაზ ძოძუაშვილი: რაც შეეხება ზაზა ჯანაშიას არგამოძახებას, გეტყვით, რომ მას ბოლო დროს შოუ ბიზნესის პერსონის კვალიფიკაცია უფრო მიესადაგება.

დავით ყიფიანი: ჯანაშია ჩვენთვის მართლაც საჭირო ფეხბურთელია, მაგრამ სულ რაღაც უშლის ხელს. ხან ავადაა, ხან მძიმე წონა აწუხებს. თანაც ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ ნაკრებში ყველა დიდი ხალისით მოილტვის, ასე რომ...

რევაზ ძოძუაშვილი: მენთეშაშვილი იმიტომ გავამწესეთ მარცხენა ფლანგზე, რომ რუმინეთთან მოთამაშეთა ადგილების მონაცვლეობით ვაპირებთ თამაშს.

დავით ყიფიანი: მართლაც უხარისხო მინდორზე მოგვიწია თამაშმა და ჩვენი შესაძლებლობები 40 პროცენტით წარმოვაჩინეთ. რომ არა უვარგისი მინდორი, უფრო სანახაობრივი თამაში იქნებოდა, ლამაზ კომბინაციებსაც ვნახავდით და გოლებსაც.

დავით თავგართქილაძე

ზურაბ ფალავანდიშვილის ფოტო

მიხეილ ასათიანმა ალექსეენკოს ბურთი არ დაუთმო

ზურაბ ფალავანდიშვილის ფოტო

გია იმედაძემ მეტოქეს ბურთი არც კი დაანახა

ნოდიამ ლოკომოტივი კვიპროსზე ნახა

გივი ნოდია დიღომში „ლოკომოტივის“ ბაზაზე ნაახალწლევს გამოჩნდა. ჯერ შორიდან უყურა შეთხელებული გუნდის ვარჯიშს, მერე პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძეს შეხვდა, შეთანხმდნენ და მალე XII ეროვნული ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპის პირველადგილოსანი გუნდი ოფიციალურად ჩაიბარა.

„ლოკომოტივმა“ ქართული კლუბებიდან ერთეულების ხვედრი გაიზიარა და 6 თებერვალს უცხოეთს მიაშურა მოსამზადებლად. გივი ნოდიამ საწვრთნელი შეკრებისთვის ნაცნობი ადგილი — კვიპროსის ქალაქი აიანაპა ირჩია.

„ლოკომოტივი“ სასტუმრო „მელიში“ დაბინავდა და ორჯერად ვარჯიშებს შეუდგა. რკინიგზელებმა უკვე სამი საკონტროლო შეხვედრა გამართეს და სწორედ ბოლო მატჩის შემდეგ დავუკავშირდით გივი ნოდიას.

გივი ნოდია

— ეს-ესაა სმოლენსკის „კრისტალთან“ 0:2 დავმარცხდით, ძირითადად მეორე შემადგენლობით ვითამაშეთ და წაგების მიზეზიც უფრო ეს იყო. იძულებული ვიყავი, რამდენიმე ფეხბურთელი დამესვენებინა ტრავმის გამო. გოგიჩაიშვილი, ჭიჭვეიშვილი და კაიდარაშვილი მსუბუქად არიან დაშავებულნი, შეუძლოდაა სალუქაძეც, თუმც საგანგაშო არაფერია, მომდევნო შეხვედრისთვის ისინი მწყობრში იქნებიან.

— მორიგი საკონტროლო მატჩი რომელ გუნდთან გაქვთ?

— კორეული გუნდია. აქ ხშირად ჩამოდის. ვეცდები, ძირითადი ბირთვი ვითამაშო. სერიოზული გამოცდა გველის და მაქსიმალურად წარმოვაჩენთ ჩვენს შესაძლებლობებს. შეგულებული გვყავს აგრეთვე სარატოვის „სოკოლი“ და რამენსკოეს „სატურნი“. მათთანაც გამოვცდით ძალებს.

— „კრისტალთან“ დამარცხებამდე ორი მატჩი გითამაშიათ?

— ორივე ფრედ დასრულდა. ჯერ „გაზოვიკ-გაზპრომს“ დავუზავდით — 1:1. გოლი პარამონოვმა გაიტანა, შემდეგ კი უგოლოდ ვითამაშეთ იუგოსლავიის „ზემუნთან“. ორივე მატჩით კმაყოფილი დავრჩი. ბიჭებს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. იმედია შეკრების ბოლომდე კიდევ მოუმატებენ და მერე ჩვენს შესაძლებლობებს ეროვნული ჩემპიონატი გამოაჩენს.

— მზადებისთვის როგორი პირობები გაქვთ?

— ნორმალური. ყველაფერი ჩინებულად აეწყო. ვარჯიშის გარდა არაფერზე გვაქვს საფიქრალი.

— ვიცით, რომ კახა ცხადაძეც თქვენთან ვარჯიშობს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი თამაშს „ლოკომოტივში“ გააგრძელებს?

— კახა თბილისში ბრუნდება, სამწუხარო ამბავია, ბიძა გარდაეცვალა... ჩვენთან უბრალოდ, ფორმის აღსადგენად ვარჯიშობდა. ისე, თავის გეგმებზე ჩემთან არ უსაუბრია, ამიტომ კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

— აიანაპაში ბევრი გუნდი ემზადება, შესაბამისად სელექციონერებიც იქნებიან. რომელიმე ლოკომოტიველთან დაკავშირებით ვინმეს ხომ არ მოუმართავს თქვენთვის?

— იყო რამდენჯერმე მცდელობა, მაგრამ ყველა უარით გავისტუმრეთ. ჩვენ ჩვენი მიზნები და გეგმები გვაქვს. გამორიცხულია, სეზონის ბოლომდე გუნდი ვინმემ დატოვოს, საქმისთვის ასე ჯობს.

— მიზანი ალბათ ჩემპიონობაა...

— პირველ რიგში სოლიდური, მობილური გუნდის შეკვრა, მერე ნელ-ნელა ყველაფერი იქნება.

— კვიპროსში რამდენი ფეხბურთელი გყავთ?

— გუნდში ჯერჯერობით 24 ფეხბურთელია, მაგრამ 3-4 მათგანს ალბათ გავუშვებთ. თუმც არც ის არის გამორიცხული, ვინმე დავიმატოთ, ყოველივე 21 თებერვლის შემდეგ გადაწყდება, როცა აიანაპადან დავბრუნდებით.

აქვე „ლოკომოტივის“ იმ შემადგენლობას გაგაცნობთ, რომელიც ბოლო საკონტროლო მატჩში „კრისტალს“ დაუპირისპირდა:

ლომაია, ბალაშვილი, ლაცაბიძე, ბაქრაძე, გილაური, ნინუა (გ. კვეტენაძე), კვარაცხელია, გ. შენგელია (გ. ზოიძე), ანჩაბაძე, გაგუა (ვოგნაძე), ხუროძე (ჭიჭვეიშვილი).

ბაბა კვანტალიანი

გორში ფეხბურთის უჩივლეს

რაიონის გამგეობამ „დილას“ ნინა საშკუნის ვალი მოსთხოვა

საფეხბურთო კლუბ გორის „დილას“ სასამართლოში უჩივლეს...

მომჩივანი უცხო ვინმე არ გეგონოთ. გარეშე პირებს თუ ორგანიზაციებს „დილასთან“ საპრეტენზიო არაფერი აქვთ. მომჩივანი მშობლიური რაიონის გამგეობა გახლავთ.

ცოტა უცნაურიც კია, „დილას“, რომელიც ლიგაში დასარჩენად იბრძვის და შეჭირვებულია, გამგეობა დახმარების ნაცვლად ფულს აქეთ სთხოვს.

...იყო დრო, „დილას“ დაფინანსებას თავად გორის რაიონის გამგეობა კისრულობდა, მაგრამ მერე კლუბი სხვათა გადასარჩენი ხდებოდა. წლები კი გადიოდა...

1995 წელს, გორის რაიონის გამგეობას კლუბისთვის ფული უსესხებია. 2 011 690 000 (ორი მილიარდ თერთმეტი მილიონ ექვსას ოთხმოცდაათი ათასი) კუპონი ერთი თვის გასასტუმრებელ ხელფას-პრემიებს არ ეყო და კლუბის ერთ-ერთმა თავკაცმა საკუთარი ავტომანქანის საბურავები გაყიდა, რათა დავალიანება სრულიად დაეფარა.

იმავე წელს დეკემბერში გამგეობამ იმავე მიზეზით 6 800 (ექვსი ათას რვაასი) ლარიც გასცა, ოღონდ ამჯერად სარგებლის გარეშე, უპროცენტოდ.

ამ ამბიდან ექვსი წელიწადი გავიდა, ახალი საუკუნე დაიწყო. გორის რაიონის გამგეობა კი ფულს საფეხბურთო კლუბის ახალ თავკაცებს სთხოვს, სამართალმემკვიდრეები თქვენ ხართო.

პროცენტით თუ უპროცენტოდ „დილას“ გამგეობა სულ 10 017 (ათი ათას ჩვიდმეტ) ლარს ედავება.

რაიონის გამგეობას სასამართლოში 1999 წლის მარტშიც უჩივლია, მაგრამ საქმე მაშინ არ გარჩეულა. ახლა რაიონის ახალი ხელმძღვანელობა თავიდან ითხოვს სარჩელის განხილვას.

ვალი ვალად, მაგრამ „დილა“ ხომ ძვირფასია გორელი ქომაგებისთვის. გუნდს ახლა უჭირს, გავარდნის საფრთხე ემუქრება. კლუბს დახმარება ახლა სჭირდება, თორემ თუ „დილა“ გავარდა...

გასაკვირი ისიც არის, რომ როცა ლაპარაკია ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაზე, როცა „დინამოს“ გადასარჩენად ყველაფერი კეთდება და ფეხბურთის აღორძინებაზე ლაპარაკობენ, „დილას“ ოდინდელ ვალს სთხოვენ, ფულს, რომელიც გორის გამგეობას ისედაც უნდა გაეღო.

გასარკვევი, ალბათ, უჩვენოდაც გაირკვევა, მთავარია, წამოჭრილმა პრობლემამ „დილა“ არ შეიწიროს. ფეხბურთი მხოლოდ მინდორზე 22 კაცის აღმა-დაღმა სირბილი და ბურთის გორება როდია. ის უამრავ წვრილმან თუ მსხვილმან საკითხს მოიცავს.

ყველას ეს არ ესმის და ვერც გაიგებს, მთავარია, მოდავეებმა გაუგონ ერთმანეთს და საქმის საკეთილდღეოდ გაისარჯონ.

ზამუკა კვანტალიანი

საშუალოზონო მიდი-მოდი

	გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
ლოკომოტივი *გივი ნოდია*	ლევან სილაგაძე, თოდუა, აბრამიძე (ტორპედო), რუსია (ცსკა, უკრაინა), ხიზანიშვილი (ფულემი, ინგლისი), გონჩაროვი, პარამონოვი (ტრანსფერზე არიან), დავითაშვილი (?)	ბაქრაძე (მეტალურგი), ზ. ლაცაბიძე (ჰუტნიკი, პოლონეთი), ანჩაბაძე (დინამო), კაიდარაშვილი (კრივბასი, უკრაინა), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), გ. კვეტენაძე (მერანი), გ. ზოიძე (ლოკომოტივი 3), მანჭარაული (თბილისი), შედანია (ზოოვეტი), კვერნაძე (ტორპედო), გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი)	გორდა 0:0, დილა 1:2, ზემუნი (იუგოსლავია) 1:1
ტორპედო *დავით ყოფიანი და რევაზ ძოძუაშვილი*	ჭანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), შალამბერიძე, ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (კოლხეთი), ხვადაგიანი (დინამო, რუმინეთი), თურმანიძე (ნივა, უკრაინა), ჩხეტიანი, გ. გოგოლაძე, ბერელიძე (ზიმბრუ, მოლდოვა), კვერნაძე (ლოკომოტივი), მეგრელაძე (ლიკ, საბერძნეთი), მამალაძე, ძამსაშვილი (იბერია შევარდენი), შეყრილაძე, ვაჩიბერაძე (?)	დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა, აბრამიძე (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, ვაშაკიძე (დინამო), ახალაკი (კოლხეთი), გვირვიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი)	კოლხეთი 0:0, ფაშტიკ აკ ალტინი (ყირგიზეთი) 3:0, შამქირი (აზერბაიჯანი) 2:1, დუსტლიკი (უზბეკეთი) 3:0, მონტენიე (ბელგია) 3:0
დინამო *რევაზ არველაძე*	ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, ვაშაკიძე (ტორპედო), სახვაძე (რიდი, ავსტრია), ანჩაბაძე (ლოკომოტივი), შელია (ალანია, რუსეთი), გადელია, სიქინავა (ტორპედო-ზილ, რუსეთი), რუხაძე (?)	იაგორაშვილი (პროიზერ კიოლნი, გერმანია), ჩიკვაძე, მიკუჩაძე, მანწკავა, ქარდავა (დინამო 2)	დილა 4:0, გორდა 4:3, სიონი 2:1, მერანი 1:0
ვიტ ჯორჯია *თემურ მახარაძე*	დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ), თაყაძე (დილა)	გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), გოცირიძე, ნუწუნავა, ადამია (თსუ), ფეიქრიშვილი (ვალენსია)	სიონი 2:1, თსუ 2:0, არაუ (მფეცარა) 1:5:1, ასკოლი (იტალია) 6:0, სტიაუა (რუმინეთი) 0:1, ლიტექსი (ბულგარეთი) 0:1, პოლონია (პოლონეთი) 2:2
კოლხეთი *სოსო ფილია*	ახალკაცი (ტორპედო), მაღლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (მერანი), თედეევი (კოლხეთი 2), ხუჭუა (?, რუსეთი), კიკლიაშვილი, გოგიაშვილი (?)	ქეაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), წიწიკაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), შალამბერიძე, ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (ტორპედო), ნარსია, აკობია, პ. ბაჩილავა, ყურაშვილი (კოლხეთი 2)	ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:2, 0:1, თსუ 1:0, 1:1, დინამო (სტავროპოლი, რუსეთი) 2:2, 0:2, ობოლონი (უკრაინა) 0:0
მერანი *ოთარ გაბელია*	პოდლესნი (ზარია, უკრაინა), გ. კვეტენაძე (ლოკომოტივი), კობესაშვილი (სიონი)	მაღლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ხუციშვილი (არ თამაშობდა), ზ. კვაკვესკირი (მუქურა), რ. ონიანი, გოგიტაძე (ზუგდიდი), დავითნიძე (კოლხეთი); ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი)	დინამო 0:1, იბერია შევარდენი 2:1, დილა 3:2
ბათუმი *ასლან ბალაძე*	ბედიაშვილი, სოხაძე (გორდა), ქეაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე, თარგამაძე, ბ. შენგელია (სიონი), ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზე არიან), ჩოხელი (ანჟი, რუსეთი), სიხარულიძე, ქერაშვილი (?)	ჭანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, თ. ტულუში (არ თამაშობდნენ), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი)	კოლხეთი 1:4, 2:0, 1:0, თსუ 3:1
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	წიწიკაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?)	თარგამაძე, ბ. შენგელია, სიდამონიძე (ბათუმი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ), კ. მელქაძე (მილანი), ყოლბაია (ზუგდიდი), გუგუნავა (თსუ), კობესაშვილი (მერანი)	ვიტ ჯორჯია 1:2, დინამო 1:2, გორდა 0:0, იბერია შევარდენი 0:0, 0:0
გორდა *გია გეგუჩაძე*	ოვჩიანი (იბერია შევარდენი); იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი)	ბედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ), ჯულელი (გურია); გია გეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი)	დინამო 3:4, მილანი 3:2, ლოკომოტივი 0:0, სიონი 0:0, თბილისი 2:0, ზოოვეტი 5:0
დილა *ვაჟა ხაჩირაშვილი*	მდივანი (ივერია), ციცქიშვილი (ცხინვალი), გ. ტულუში (თამაში მიატოვა)	რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (ვიტ ჯორჯია)	დინამო 0:4, ლოკომოტივი 2:1, თსუ 0:2, მერანი 2:3
თსუ *მერაბ კოჭლაშვილი*	გოცირიძე, წნუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), გუგუნავა (სიონი), ა. ბოკერია, ერაძე, კ. ვადაჭკორია (?)	სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ქიღლაძე, ელყანიშვილი, დათუნაიშვილი, დ. სულავა, ბეროშვილი, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობყანიძე (ვიტ ჯორჯია 2)	ვიტ ჯორჯია 2:2 0, ვიტ ჯორჯია 0:2, კოლხეთი 0:1, 0:1 ბათუმი 3:1, კოლხეთი 2 1:1, დილა 2:0
იბერია შევარდენი *ნოდარ აკობია*	ს. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე (სამგურალი), ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?)	მამალაძე, ძამსაშვილი (ტორპედო), ტარიელაშვილი (თორი), ოვჩიანი (გორდა), მალანია (ავაზა), ჩლაიძე (არ თამაშობდა); ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი)	შევარდენი 3:2, ცხრამეტწლამდელები 1:2, სიონი 0:0, 0:0, მერანი 1:2

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ 1:0 ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ

1:0 ელბერი (79)
ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ: კანი, კუფური, იერემისი, ლინდ, ლიზარაზუ, ფინკი, სალიბამიჯიჩი, შოლი (სანიოლი 82), ეფენბერგი (ტარნატი 89), პაულო სერგიო (იანკერი 65), ელბერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ: ფილიმონოვი, ანანკო, კოვტუნი, მიტრუსკი, ჩუისე, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, ირისმეტოვი, რობსონი, მარკაო (ბეზროდნი 72)
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მსაჯი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)
31 000 მაყურებელი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „სპარტაკმა“ ლიგის პირველი საგაზაფხულო მატჩი წააგო და ცხრილში ბოლო ადგილზე დამკვიდრდა. „ბაიერნს“ კი შვიდი ქულა მოუგროვდა და მოწინააღმდეგეებთან სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა.

„მოსკოველებს დიდებული მეკარე ჰყოლიათ. ბედნიერი ვარ, რომ მაინც გავუტანეთ. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, „სპარტაკი“ სერიოზული და ძლიერი გუნდია, ამიტომ ეს გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“ — თქვა ბავარიელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

მისი მოსკოველი კოლეგა ოლეგ რომანცევი თავს იმართლებდა: „სპარტაკმა“ შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოავლინა და შედეგიც ლოგიკური მივიღეთ. მიზეზი კი ისაა, რომ ძირითადის რამდენიმე მოთამაშე დაშავებული გვყავს. ამის გამო, მარცხენა ნახევარმცველის ადგილზე თავდამსხმელი ვათამაშეთ. ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ მოკლე მოსამზადებელ დროში სერიოზული მატჩები არ გვითამაშია და პრაქტიკის უქონლობამ თავისი გააკეთა“.

რუსი მიმომხილველები რომანცევს ეთანხმებიან და წაგებას თებერვალს აბრალებენ — ასე ადრე „სპარტაკს“ სეზონი არასოდეს დაუწყია. შესაძლოა, სადღაც მართლებიც არიან. მეორე ტაიმში მოსკოველები აშკარად დაიღალნენ.

რომანცევს არ ჰყავდა დისკვალიფიცირებული პარფიონოვი, აგრეთვე დაშავებული კალინიჩენკო და ბეზროდნი. ამიტომ მარცხენა ნახევარმცველის ადგილი ბრაზილიელმა რობსონმა დაიკავა, თავდასხმაში კი მეორე ბრაზილიელ მარკაოს უბზეკი ახალწვეული ჯაფარ ირისმეტოვი შეუწყვილა. მაგარი ბიჭი ყოფილა ირისმეტოვი, ყოველ შემთხვევაში, „ოლიმპიაშტადიონიდან“ ასე ჩანდა. ჯერ იყო და, ვარდნაში მოხდენილად დაარტყა, კანმა გაჭირვებით აუღო, მერე კი ოსტატურად დაფარა კორპუსით ბურთი და გამოზომილი პასით რობსონი მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ბრაზილიელმა მიზანში ვერ მოახვედრა. აი, მეორე ნახევარში კი ირისმეტოვს კუფური მიუჩინეს და სტუმართა შეტევებიც განელდა.

REUTERS მიუხედავად

ბაიერნი — სპარტაკი 1:0. „გერმანელ ბრაზილიელ“ ჯოვანი ელბერს „რუსი კამერუნელი“ ჯერი კრისტიან ჩუისე ფეხზე დააჯდა

„ბაიერნმა“ მოიგო. ჰიცფელდის გუნდი ბევრს უტევდა, ეფენბერგი და შოლი ჩვეულად ირჯებოდნენ, მაგრამ თითქოს მარილი აკლდათ და რაღაც კლანჭები დაბლაგვებოდათ. მათგან გამორჩეული კი უთუოდ ჯოვანი ელბერი გახლდათ. ბრაზილიელი ბუნდესლიგის ბოლო მატჩებში უგოლოდ მინდორს აღარ ტოვებს და ამჯერადაც ივარგა. პირველ ტაიმში მისი ცხრიანში დარტყმული სასწაულით არ გავიდა, მოსკოველები ძელმა გადაარჩინა. ბოლოს კი, როცა დამთავრებამდე თერთმეტი წუთი რჩებოდა, გამარჯვებისა შეაგდო. საქმე ასე იყო: ლიზარაზუმ აუტიდან ბურთი საჯარიმოში ჩააგდო, ჰაერში იანკერმა ყველას აჯობა, კეფით ელბერს გადასცა, ბრაზილიელმა მომენტი ჩინებულად შეაფასა, ორ სპარტაკელს დაასწრო და თავურით გაიტანა.

საფინალო სასტვენს აღარაფერი უკლდა, როცა სპარტაკელები აწრიალდნენ. მიზეზი, კოვტუნის საჯარიმოში წაქცევა გახლდათ. სტუმრები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ დანიელმა არბიტრმა ფისკერმა სხვაგვარად გადაწყვიტა. სხვათა შორის, კოვტუნმა ტრადიციას არ უღალატა, გაფრთხილება მიიღო და შემდეგ მატჩს გამოტოვებს, ისევე, როგორც ბავარიელთა ლიბერო იერემისი.

„დღეს დიდებულად ვითამაშეთ. ღმერთის წყალობით, გვჯეროდა, რომ მოვიგებდით. გოლს კი იანკერს უნდა ვუმადლოდეთ, მან მოწინააღმდეგის ლამის მთელი დაცვის ყურადღება მიიპყრო და მეც გატანა აღარ გამჭირვებია“ — ასეთი იყო გახარებული ელბერის მატჩისშემდგომი სიტყვები.

ᲚᲘᲝᲜᲘ 0:1 ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

0:1 ანრი (58)
ᲚᲘᲝᲜᲘ: კეუ, დეფლანდრე, მიულერი, ედმილსონი, ბრუზე, ლეგლი (დელმატი 83), ფოუ, ვიოლო (ბალბრანკი 75), დორასო (გოვუ 75), მარლე, ს. ანდერსონი
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ: სიმონი, დიქსონი, გრიმანდი, ადამსი, ეშლი კოული, პარლოუ, ლორენი, ვიეირა, პირესი (ლიუნგბერგი 69), ანრი, კანუ (ვივასი 89)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
42 000 მაყურებელი

ᲚᲘᲝᲜᲨᲘ გამარჯვებამ და „სპარტაკის“ წაგებამ ლონდონის „არსენალი“ ბოლოდან მეორე ადგილზე აანაცვლა და ჯგუფიდან გასვლის მადაც გაუმძაფრა. მართალი იყო არსენ ვენგერი, როცა ტიერი ანრის გამოდანმრთელებას შეჰხაროდა — პრემიერლიგის ყველაზე ფრანგმა ლმა გუნდმა საფრანგეთში ფრანგის ბოლით გაიმარჯვა.

„ლიონი“ კერძოდ, და უბრალოდ, ... რას დათმობდა. სტივ მარლემ და სონი ანდერსონმა სტუმრებს მოსვენება დაუკარგეს, მაგრამ მეთოფეთა მეკარე სიმენი დიდებულად თამაშობდა. ამათ არც ლონდონელები რჩებოდნენ ვალში. კანუმ სასწაულით ვერ გაიტანა, ანრიმ კი ძელს მოარტყა.

მეორე ტაიმში ლონდონელთა უპირატესობა უფრო გამოიკვეთა. მათი მიზანმიმართული შეტევები ბოლოს ბოლით დამთავრდა. ეშლი კოულმა მარცხნიდან ჩაჰკიდა და ანრიმ ღონიერი თავურით ბადე კინაღამ გაგლიჯა.

„ძალიან რთული მატჩი გამოვიდა. „ლიონი“ ვაჟკაცურად იბრძოდა და მეტსაც უტევდა, მაგრამ ჩვენი კონტრდარტყმები უფრო ეფექტური აღმოჩნდა. „ბაიერნის“ გამარჯვებამ მეორე ადგილზე გადაგვიყვანა. ასე რომ, უხეირო დასაწყისის მიუხედავად, მეოთხედფინალში გასვლის შანსი ისევ მოგვეცა“ — განაცხადა არსენ ვენგერმა.

იმედგაცრუება არც ლიონელთა მწვრთნელ ჟაკ სანტინის ეტყობოდა: „ღირსეულად და მწყობრად ვითამაშეთ. ეგაა, საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. თუმცა, ჯგუფში ისეთი ვითარება შეიქმნა, მეოთხედფინალში გაძრომა კიდევ შეიძლება. ამისათვის, უპირველესად კვირის თავზე ლონდონურ მატჩში უნდა ვივარგოთ“.

საღამოს გმირი ტიერი ანრი კი თავისიანების თამაშით აღფრთოვანებულიყო: „კარგად ვითამაშეთ. ნახევარდაცვა ხომ საერთოდ უბადლო იყო. მოზარული გახლავართ, რომ „არსენალი“ დროებით ჩავარდნას თავს აღწევს. ახლა სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გავიუმჯობესეთ და მომავალ მატჩს კარგი განწყობით შევხვდებით“.

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲣᲛᲘᲚᲘ

	C ᯒᲯᲒᲣᲤᲘ	1	2	3	4	ბ	ქ
1	ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ		14.03	1:0	1:0	4:2	7
2	ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ	2:2		21.02	6.03	4:6	4
3	ᲚᲘᲝᲜᲘ	6.03	0:1		3:0	3:2	3
4	ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ	21.02	4:1	14.03		4:5	3

ᲠᲔᲐᲚᲘ 3:2 ᲚᲐᲪᲘᲝ

0:1 კრესპო (4), 1:1 მორიენტესი (32), 2:1 ელგერა (82), 2:2 გოტარდი (84), 3:2 ფიგუ (88ჯ)
ᲠᲔᲐᲚᲘ: კასილიასი, სალგადო, კარანკა, რობერტო კარლოსი, იერო, მაკელელე, ელგერა (სოლარი 90), მაკმანამანი (გუტი 76), ფიგუ, რაული, მორიენტესი (მუნიტისი 65)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ᲚᲐᲪᲘᲝ: ბერუტი, ნეგრო, ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, პანკარო, სიმეონე (მიხაილოვიჩი 89), კასტრომანი (გოტარდი 60), ნედვედი, ვერონი (ბარონიო 84), კრუსპო, სალასი
მწვრთნელი: დინო ძოფი
მსაჯი: ფილ ვესიე (საფრანგეთი)
80 000 მაყურებელი

ᲠᲘᲡ ოქროს ფონდი, რა განძთსაცავი — სამშაბათ საღამოს „სანტიაგო ბერნაბეუს“ მწვანე მინდორზე იმდენი სიმდიდრე იყო თავმოყრილი, ჩვენნაირი ქვეყნის ბიუჯეტს ხურდაში დააბრუნებდა. მარტო ორი კაცის ფასი, პირველი და ბოლო გოლების ავტორებისა, 110 მილიონ დოლარს აღემატებოდა. 54 მილიონიანმა ლაციოელმა ერნან კრესპომ ანგარიში მაშინ გახსნა, როცა 56 მილიონიან ფიგუს ფრანგმა მსაჯმა ჯერის მოხსნა მოსთხოვა. წუთით ულიდეროდ და ღვთის მფარველობის გარეშე დარჩენილი მასპინძლები წამსვე დამწუხრდნენ, როცა პანკარომ ზუსტად უპასა კრესპოს, ამან კარანკა მოიშორა და შორ კუთხეში გაიტანა.

აქედან და 32-ე წუთამდე ანუ გაყაიმებამდე ზღაპრული ფეხბურთი გაჩაღდა. „რეალი“, ცხადია, უტევდა და მომენტებიც ბლომად შექმნა: ფიგუმ და მაკმანამანმა ბურთი ძელებს ურტყეს, ამათივე ჩინებული კომბინაცია კი მხოლოდ პერუცის თავგანწირვამ ჩაშალა. ამ დროს არც რომაელები ერიდებოდნენ კასილიასის შეწუხებას, თუმცა სამართალმა მაინც შემტევის მხარე დაიჭირა ელგერა-რაულ-მორიენტესის სამკუთხა სვლა ბრწყინვალე გოლით დამთავრდა.

შესვენების შემდეგ სიჩქარე ოდნავ ჩაცხრა და ამით კინაღამ სტუმრებმა იხეირეს. მადლობა თქვას კრესპომ, რომ ფეხბურთი საფონდო ბირჟა არაა, თორემ ორი უიოლესი მომენტის ვერგამოყენებისთვის მისი ფასი მაკელელესაც გაუტოლდებოდა — არგენტინელი ორჯერ გავიდა კასილიასთან პირისპირ, მაგრამ მადრიდელთა მეკარემ არცერთხელ გაახარა.

ბირჟას ეს მატჩი ბოლო მეათედში დაემსგავსა, როცა მეტოქეთა ქულების მარაგი შვიდ წუთში სამჯერ შეიცვალა. ჯერ დიეგო სიმეონე შეცდა, როცა რობერტო კარლოსის პასი ვერ ჩაჭრა და ელგერას გაატანინა, მერე უარესი კასილიასს დაემართა, რადგან პანკაროს უეშმაკო ჩაწოდებისას ბურთი ხელიდან გაუვარდა და შეცვლაზე შესული გოტარდი გაახარა, ბოლოს კი... ბოლოს საქმეში მსაჯი ჩაერია და იმავე გოტარდისა და პედრო მუნიტისის ორთაბრძოლა პენალტით შეაფასა. ჰერუცი ფიგუს მიუხვდა, ბურთს ხელიც წაატანა, მაგრამ განწირულის სულისკვეთებამ ამჯერად ამაოდ ჩაიარა.

...„ლაციოს“ მწვრთნელი დინო ძოფი ბოლოს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 1982 წელს იყო, როცა ესპანეთის მეფე ხუან კარლოსისგან მსოფლიოს თასი ჩაიბარა. მეფე ამჯერადაც იჯდა ჩვეულ ადგილზე, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისიანთა წარმატებით გაეხარა და სხვებთან ერთად დაეფიქსირებინა — „რეალი“ უდანაკარგოა, ძოფის გუნდი კი უქულო.

„მსაჯი ასეთი დონის მატჩისთვის მზად არ იყო“ — ესღა თქვა პაპა დინომ.

ᲚᲘᲓᲡᲘ 2:1 ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ

0:1 სტოიკა (65), 1:1 ჰარტი (74), 2:1 ბოიერი (86)
ᲚᲘᲓᲡᲘ: მარტინი, ფერდინანდი, რადებე, მატეო (კოუელი 53), ჰარტი, დაკური (ბაკე 72), მილსი, ბოიერი, ბეტი, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ: მილოშევიჩი, კრასონი, ილიჩი, დე ბოკი, დეიდენი, ვანდერეგეტ, ბასეჯიო, სტოიკა, გოორი, კოლერი, რაძინსკი
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)
36 064 მაყურებელი

ᲚᲘ ᲑᲝᲘᲔᲠᲘᲡ სასამართლო დარბაზიდან გაქცევამ შედეგი გამოიღო — ბელგიურ „ანდერლეხტთან“ მატჩში ბოლო წუთებზე გატანილმა მისმა გოლმა „ლიდსს“ თამაში მოაგებინა. გავიხსენოთ შემოდგომაზე „ბარსელონას“ კარში გასული გოლიც. აგერ სადამდე მიიყვანა „ლიდსი“ ბოიერის სიმარჯვემ და ვინძლო უფრო შორსაც წავიდეს.

კიდევ გავიხსენოთ, რომ სამშაბათ დილით ბოიერი თავის ძმაკაც ჯონთან ვუდგეიტთან ერთად ჰალის სასამართლოში ყმაწვილი აზიელის ცემის ამბებს ჰყვებოდა. მოსამართლის ნებართვით ფეხბურთელი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ლიდსში, რომელიც ჰალიდან 80 კილომეტრითაა დაშორებული და თამაშის დაწყებას ძლივს ჩაუსწრო.

მატჩის დაწყებისას მეტოქეებს სამ-სამი ქულა ჰქონდათ და „ლაციოს“ უქულობის გათვალიწინებით გამარჯვებას დიდი ფასი ჰქონდა. აქვე აღვნიშნოთ, რომ 1956 წლის შემდეგ, რაც ევროტურნირები არსებობს, „ანდერლეხტს“ ინგლისში თერთმეტი მატჩი ჰქონდა გამართული და ერთიც ვერ მოეგო, სამაგიეროდ, ამ სეზონში შინ დაუმარცხებელია.

თავდაპირველად მატჩი სტუმართათვის სახეიროდ მიმდინარეობდა. 65-ე წუთზე რუმინელმა ალინ სტოიკამ ანგარიში გახსნა. მან იან კოლერისგან მიიღო ბურთი, ბარტ გოორთან პასები გაცვალა და საჯარიმოში შეჭრილმა ნაიჯელ მარტინს საპირისპირო კუთხეში დაურტყა.

მასპინძლები დამარცხებისგან იან ჰარტმა იხსნა, რომელმაც ოსტატურად გადაავლო ბურთი ცოცხალ კედელს. ბელგიელთა ძირითადი მეკარე ფილიპ დე ვილდე, მოგეხსენებათ, დამტვრეულია, ხოლო მისმა შემცვლელმა ზვონკო მილოშევიჩმა დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა.

მოგვიანებით კოლერმა კვლავ წინ გაჭრის ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან, როცა კარს ოდნავ ააცილა. ბოლოს კი ბოიერმა გაისროლა. თამაშის დასრულებამდე ოთხიოდე წუთით ადრე ჩხუბისთავი მეურვეს გაექცა, გზად ალან სმიტის ჩაწოდებულ ბურთს დაეუფლა და მეტად მაზვილი კუთხიდან დაარტყა. მილოშევიჩმა ამ ეპიზოდში მცდარი მოძრაობა გააკეთა, რამაც „ანდერლეხტი“ მთლად უქულოდ დატოვა.

„თავგადასავალი გრძელდება“ — თქვა მატჩის შემდეგ აღფრთოვანებულმა დევიდ ოლირიმ. ადვილი მისახვედრია, რასაც გულისხმობს ლიდსელთა დამრიგებელი.

ოლირის კოლეგა ემე ანტუნესი კი განრისხებულია: „იან ჰარტმა რომ დაარტყა, კედელში მხოლოდ სამი ფეხბურთელი იდგა. ჩემს თავს ვეკითხები, რატომ მხოლოდ სამი და პასუხს ვერ ვპოულობ. ისე კი, დაკარგული ჯერ არაფერია — სამი ტური წინაა, მაგრამ დღევანდელი მარცხი ძალიან გულდასაწყვეტია, „ლიდსს“ ხომ არაფერში ჩამოვრჩებოდით“.

ᲒᲘᲖᲐ ᲥᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ

	D ᯒᲯᲒᲣᲤᲘ	1	2	3	4	ბ	ქ
1	ᲠᲔᲐᲚᲘ		6.03	4:1	3:2	9:3	9
2	ᲚᲘᲓᲡᲘ	0:2		2:1	14.03	3:3	6
3	ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ	14.03	21.02		1:0	3:6	3
4	ᲚᲐᲪᲘᲝ	21.02	0:1	6.03		2:5	0

რეალი — ლაციო 3:2. ფერნანდო იერომაც და სხვა მადრიდელებმაც მეოთხედფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს

REUTERS მადრიდიდან

უეფას თასი. მერვეددფინალი
პირველი მატჩები. 15 თებერვალი

UEFA CUP

ალავესი	—	ინტერი
სლავია	—	კაიზერსლაუტერნი
აეკ	—	ბარსელონა
პსვ ეინდჰოვენი	—	პარმა
შტუტგარტი	—	სელტა
რაიო ვალეკანო	—	ბორდო
რომა	—	ლივერპული
პორტუ	—	ნანტი

1984 წელი. რომა — ლივერპული. ჩემპიონთა თასის ფინალი. ფილ ნილის ეს გოლი რომში დღესაც მწარედ ახსოვთ

დღეს, როცა „რომა“ და „ლივერპული“ ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან, რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ ჩვიდმეტი წლის წინანდელი თამაშის აჩრდილი იტრიალებს.

მაშინ, 1984 წლის 30 მაისს, ეს გუნდები ამ სტადიონზე ჩემპიონთა თასის ფინალში შეხვდნენ. „ლივერპულმა“ პენალტებით აჯობა მეტოქეს და სანამ ინგლისელები თასს აღმართავდნენ, ატირებულ ბრუნო კონტის და ფრანჩესკო გრაციანის უკვე დაეტოვებინათ მოედანი. გასასვლელისკენ მიიჩქაროდა 69 ათასი რომაელი ქომაგიც, თითო-ოროლა თუ დარჩა დაჯილდოების საცქერლად, მათ შორის იყო ოჯახთან ერთად ფრანკო სენსი — „რომას“ ახლანდელი პრეზიდენტი. „ის საშინელი დღე არ დამავიწყდება. მწუხარებისგან გაოგნებული ამდენი სახე ერთად არასდროს მენახა“ — წილისყრის დასრულებისთანავე გაიხსენა სენსიმ.

გრაციანის ტირილამდე ორიოდე საათი რჩებოდა. გუნდები მოედანზე გავიდნენ, ლივერპულელები წითელ, ხოლო რომაელები თეთრ მაისურებში. ცამეტ წუთში კი მოხდა ის, რასაც იტალიელები დღემდე აპროტესტებენ — სანამ ფილ ნილის დარტყმული კარის ხაზს გადაკვეთდა, ინგლისელებმა მეკარე ფრანკო ტანკრედის წინააღმდეგ უხეშად ითამაშესო.

„მსაჯი შეცდა — იხსენებდა რომაელთა მაშინდელი მწვრთნელი შვედი ნილს ლიდჰოლმი — არადა, ის ჩემი თანამემამულე იყო, ალბათ, ბედია“. ერიკ ფრედრიკსონი ორი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის თანამსაჯიც გახლდათ.

„სტადიო ოლიმპიკომ“ ტაიმის მიწურულს გაიხარა, რობერტო პრუცომ გაათანაბრა და საქმე პენალტებამდე მიიყვანა, იქ კი...

პირველი დარტყმა ინგლისელებისა იყო. სტივ ნიკოლი გამოექანა და ააცილა, აგუსტინო დი ბარტოლომეიმ კი გაიტანა — ტრიბუნები გამოცოცხლდნენ...

„ლივერპულის“ კარში იმდროისთვის კერპი, ახლა კი თამაშების გაყიდვაში მხილებული ბრიუს გრობელაარი იდგა. სანამ იტალიელი ფეხბურთელი ბურთისკენ მორბოდა, გრობელაარი ხან მარჯვნივ იხრებოდა, ხან მარცხნივ — მეტოქეს აბნევდა. ანკესს ორნი წამოეგნენ — კონტი და გრაციანი. გრაციანიმ 3:2-ზე ძელს გაარტყა და მასპინძლებს ერთადერთი შანსიღა ჰქონდათ — კენედის უნდა გაეფუჭებინა. არ გაეფუჭა — გრობელაარს მეხუთედ კარში ჩადგომა აღარ დასჭირდა.

აი, ასეთია ჩვიდმეტი წლის წინანდელი ისტორია, რომელზეც ჟერარ ულიემ თქვა — „ლივერპულის“ ახლანდელ თაობას ეს ამბავი ახსოვს და ოდინდელ ლივერპულელების პატივსაცემად განსაკუთრებული მონდომებით ითამაშებენო, თუმცა... ის უბრალოდ სასიამოვნო მოგონებაა, დღეს სხვა ამბავიაო, დაუმატა ულიემ.

დღევანდელი მატჩის წინ „ლივერპულს“ სტივ ჯერარდი ჰყავს დაშავებული, „რომას“ კი — ალდაირი. მასპინძელთა კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ ახლახან მოიშუშა ტრავმა და, სავარაუდოდ, მატჩის დაწყებას სათადარიგოთა სკამზე შეხვდება.

გერმანული „კაიზერსლაუტერნი“ პრაღის „სლავიას“ სულ 19 ფეხბურთელით ესტუმრა, რომელთა შორისაც ხუთი სარეზერვო გუნდიდანაა — ტორსტენ როიტერი, სებასტიან შეხტერი, მარკო ტოპმიოლერი და რაინერ ჰაუკი სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდები არიან, მათ ფონზე ბუნდესლიგაში ხუთი მატჩის ჩამტარებელი სილვიო ავჯიჩი კიდევ მაღალი კლასის ფეხბურთელად ითვლება. ბოლო დროს რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ „ლაუტერნს“ ტარვმირებულები მოეძალა, დღეს „სპარტასთან“ ვერც ხორვატი ნენად ბიელიცა და პოლონელი ტომაშ კლოსე ითამაშებენ, მათ წლეულს ევროტურნირებზე სხვა გუნდებში თამაში მოასწრეს.

თითქოს ეს არ ეყოფოდაო, გერმანელთა თავკაც ანდრეას ბრემეს გუშინწინ კიდევ ერთი პრობლემა გამოუჩნდა, თუმცა ბედად მალე მოაგვარა. ჩეხეთში ჩასულმა მწვრთნელმა მოულოდნელად პასპორტი დაკარგა და ლამის უკან გაბრუნეს. ვერ გეტყვით, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ერთადერთი გოლის გამტაის ავტორიტეტმა გაჭრა, თუ სხვა რამემ, პრაღაში გერმანიის საელჩომ ბრემეს უმალ ახალი პასპორტი გაუჩინა. მწვრთნელი სულ ოცი წუთით მოსწყდა გუნდს, ეს დროც ფოტოს გადასაღებად და წვრილმანი ფორმალობების მოსაგვარებლად დასჭირდა.

ამდენი პრობლემის მიუხედავად, ბრემე იმედიანადაა.

„რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ეს ჩვენს გეგმებს არ ცვლის. ჩვენი მიზანი შემდეგ ეტაპზე გასვლაა და ამას უნდა მივაღწიოთ, თუნდაც შესუსტებული შემადგენლობით“ — აცხადებს ბრემე.

„სლავიას“ მზადებაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. ჩეხებს დღეს თავიანთ მთავარ ამოცანად თანამემამულე ვრატისლავ ლოკვენცის გაუვნებლობა დაუსახავთ. ეს ფორვარდი „კაიზერსლაუტერნში“ მისვლამდე პრაღის „სპარტას“ ღირსებას იცავდა და სლავიელები ბევრჯერაც გაუმწარებია.

შარშან „შტუტგარტი“ და „სელტა“ თავიანთ ქვეყნებში ძლიერ გუნდებად ითვლებოდნენ, წლეულს კი...

გერმანიისა და ესპანეთის ჩემპიონატების ცხრილებში თუ ჩაიხედავთ, ზემოთ დასახელებულ გუნდებს ქვედა ნაწილში აღმოაჩენთ.

„ვეცდებით, პრიმერადივიზიონში დაკარგული უეფას თასზე ავინაზღაუროთ, ამისთვის კი ყურადღებით თამაშია საჭირო, შტუტგარტში გოლი არ უნდა გავუშვათ, ასე თუ მოხდა, საპასუხო მატჩის წინ ბევრად უკეთეს სიტუაციაში ვიქნებით“ — თქვა ვიქტორ ფერნანდესმა, „სელტას“ თავკაცმა.

„შტუტგარტის“ დამრიგებელმა რალფ რანგნიკმა კი აღნიშნა, წინა ტურში, „ბაიერნთან“ შეხვედრისგან განსხვავებით, ოთხ-ხუთ შეცვლას გავაკეთებ და დარწმუნებული ვარ, სულ სხვა ფეხბურთს ვითამაშებთო.

გიორგი დარჯანია
ვანო ოძროპირიძე



მარიო ბასლერმა და მისმა მწვრთნელმა ანდრეას ბრემემ პრაღაში ჩასვლისთანავე ივარჯიშეს

ფაბიო კაპელოს ბრაზილიელი ალდაირის იმედი აღარ აქვს, იგი დაშავებულია

ნილ ერდლის ზუსტად შესრულებული პენალტის შემდეგ „უიმბლდონმა“ გაათანაბრა და დამატებითიც დაინიშნა

ისევ შეშლილები

ინგლისი

ასოციაციის თასი
1/16 ფინალი. გადათამაშება

უიმბლდონი (I) 3:1 დდ. (1:1) მიდლსბრო

0:1 რიკარდი (45), 1:1 ერდლი (76პ), 2:1 იუელი (95), 3:1 პანტი (112)

უიმბლდონი: ფეფისი, კანინგემი, ჰოლოფეი, უილიამსი, ანდერსენი, იუელი, ეინსორთი, ფერნანდესი (ერდლი 33), ჰოკინსი, ეგიმენგი (ტრეი 64), კარლსონი (პანტი 90)

მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, გორდონი, ფეტტა, მასტო, ინსი, დინი (ბოკშინი 82), ეჰიოგუ, რიკარდი (ჰაღსონი 74), სტამპი (ე. კემბელი 46), კუბერი

მწვრთნელი: ტერი ვენებლზი

გაფრთხილება: ეინსორთი, უილიამსი, მასტო, ფეტტა

გაძევება: ეჰიოგუ (97)

5 991 მაყურებელი

პირველი დივიზიონის „უიმბლდონმა“ ასოციაციის თასიდან გამოთიშა „მიდლსბრო“ მეთექვსმეტედფინალის გადათამაშებაში, რომელიც ლონდონის სამხრეთით, „სელჰერსტ პარკზე“ გაიმართა და დამატებითი დრო დასჭირდა გამარჯვებულის გამოსავლენად.

შარშან პირველ დივიზიონში დაქვეითებული „უიმბლდონის“ ძველი სახელი — „შეშლილთა ბანდა“, როგორღაც ყველამ დაივიწყა, არადა დონებმა სწორედ ის ძველი უტეხი ხასიათი გამოავლინეს, 1988 წელს ასოციაციის თასის ფინალი რომ მოაგებინა უსახელო, პატარა გუნდს.

პირველ შეხვედრაში, მიდლსბროში რომ გაიმართა, გოლი არ გასულა. აქ კი „სალჰერსტ პარკზე“ სტუმართა ამილტონ რიკარდმა შესვენებამდე გახსნა ანგარიში. დონებმა არაფერი დათმეს და ჯილდოდ პენალტი მიიღეს — უგო ეჰიოგუმ ჯეისონ იუელს მაისურა შემოახია საჯარიმოში. პენალტი ნილ ერდლიმ გაიტანა. ეს ძირითადი დროის დასრულებამდე 14 წუთით ადრე მოხდა. ეჰიოგუმ იმდენი ქნა, რომ მოედნიდანაც გააძევეს, თუმცა ეს უკვე დამატებით დროში მოხდა, როცა მასპინძლები უკვე 2:1-ს იგებდნენ იმავ იუელის გოლის წყალობით. ინგლისში ოქროს გოლის წესი არ მოქმედებს და შემცვლელ ჯონათან ჰარტის შორეულმა საბოლოოდ მოათავა საქმე.

იქ მყოფი 5 991 გულშემატკივარი ბედნიერი იყო. „უიმბლდონმა“ კი დაამტკიცა, რომ „მიდლსბრო“ წლევანდელ სათასო შეხვედრაში დაბრიყვებული ჰყავს — აკი ნოემბერში ლიგის თასიდანაც გამოთიშა. „ბორომ“ კი პირველად წააგო ტერი ვენებლზის ხელში, თუმცა თასზე, მაგრამ მაინც.

ირაკლი გამყრელიძე

ძალიან საშიში საპნის ოპერა

ლონდონელ მეთოფე დენის ბერხკამპს სამშაბათს „ლიონის“ წინააღმდეგ არ უთამაშია. მიზეზის სანაცვლოდ შორს წასვლა არ გვჭირდება — მისი ფრენისადმი შიში საქვეყნოდ ცნობილია. ჰოდა, არსენ ვენგერმაც გადაწყვიტა, ბერხკამპის სახმელეთო ტრანსპორტით მოგზაურობას და ზედმეტად გადაღლას, ჯობს შინ დარჩეს და პრემიერლიგის მომდევნო მატჩებისთვის უკეთ მოემზადოსო.

გავიხსენოთ, რომ დენის ბერხკამპის შიში მასხრობის საგანიც ხშირად გამხდარა.

ფეხბურთელი ითმენდა, ითმენდა და ვეღარ მოითმინა — ესაა თქვენი ადამიანობა და კაცთმოყვარეობაო, ბრიტანული მედიის მისამართით თქვა.

ბერხკამპის მოთმინების ფიალა ინგლისურ გაზეთებში გამოქვეყნებულმა ახალმა ცნობამ აავსო, რომელიც მკითხველს არწმუნებს, ჰოლანდიელს თვითმფრინავის გარდა მატარებლით მგზავრობაც აშინებსო. მოკლედ, სახლიდან ვერ გასულა კაცი.

— ნამუსი აღარ არის? ჩივის ბერხკამპი, „არსენალმა“ ჩემპიონთა ლიგის უმნიშვნელოვანესი თამაში მოიგო, ამათ კიდევ ეს არ აინტერესებთ, ჩემი პირადი პრობლემებიდან საპნის ოპერა შექმნეს. ვიცი, მავანი რეპორტიორები მისტერ ვენგერთან მივიდნენ და ცდილობდნენ, ეთქმევინებინათ, თითქოს მელიონში ჩასვლა მატარებლითაც ვუარე. მისტერ ვენგერმა ეს ჭორი, ცხდია, უარყო, მაგრამ მათ ენას ხომ ძვალი არა აქვსო.

დენის ბერხკამპი

ბერხკამპის ეს სიტყვები მის საინტერნეტო გვერდზე შეგიძლიათ ამოიკითხოთ.

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1 წთ / 50 თეთრი)

REUTERS ნიუ იორკიდან

ამერიკულ-ბრიტანული გარიგება: ნიუიორკელებმა უილის რიდმა და ჰარვეი შილერმა „მანჩესტერ იუნაიტედის", ინგლისელებმა პიტერ კენიონმა და ბობი ჩარლტონმა კი „ნიუ იორკ იანკზის" მაისურები გამოფინეს

რომაელთა გზა ამერიკაში მიდის

სენსი მანჩესტერელთა ნაკვალევზე

მოგეხსენებათ, ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" და ბეისბოლის ამერიკულმა კლუბმა „ნიუ იორკ იანკიზმა" ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის თანახმად მხარეები ერთმანეთს ხელს შეუწყობენ სპორტული საკითხების განვითარებაში: მოთამაშეთა ჯანმრთელობის, საწვრთნელი მეთოდებისა და ფიზიკური ფორმის შესახებ ახალ-ახალ ინფორმაციებს გაცვლიან.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ დაახლოებით იგივეს იტალიის ჩემპიონატის ლიდერი, „რომა" აპირებს. რომაული კლუბის პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ განაცხადა, რომ მისი პარტნიორი ამერიკული სპორტის რომელიმე დიდი წარმომადგენელი იქნება.

სენსიმ ინტერვიუ მისცა ცნობილ სპორტულ გაზეთს „გაძეტა დელო სპორტს", რომელშიც ბრძანა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" სამაგალითო ნაბიჯი გადადგა, თუმცა ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც თავად აპირებს, შესაძლოა უფრო დიდიც იყოს:

„განსხვავება ისაა, რომ „იუნაიტედი" უკვე დიდი მასშტაბისაა, მისი სახელი მსოფლიოში ცნობილია, სიტყვა „მანჩესტერი" მრავლისმეტყველი გახლავთ და კლუბს მარტო ამ სიტყვით შეუძლია ბევრი საქმის გაკეთება, მაგრამ აბა, წარმოიდგინეთ სიტყვა „რომა"... ხომ გრძნობთ რამხელა პერსპექტივასთან გვაქვს საქმე.

როდესაც მანჩესტერელებზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ ინგლისელთა მიერ 7 თებერვალს დადებულ ხელშეკრულებას ამერიკის უგანთქმულეს ბეისბოლის კლუბთან. ეს უდიდესი კავშირია არა მხოლოდ წარმოების ასაწყობად, არამედ უკვე და მომავალში წარმოებული პროდუქციის მთელ მსოფლიოში გასასაღებლად".

მართლაც, „იუნაიტედსა" და ნიუ იორკელებს შორის დადებული კონტრაქტი კომერციული თვალსაზრისით გახლავთ ძალიან მნიშვნელოვანი. იგი ორივე მხარეს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ერთმანეთის სავაჭრო არხები. მსოფლიოს უმდიდრესი საფეხბურთო კლუბის, „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელებმა ამერიკელებთან გაფორმებული ხელშეკრულება შეაფასეს, როგორც გარიგება კონკურენციისა და ფინანსური შეთანხმებების გარეშე.

„მეც იმავე გზას მივყვები" — განმარტა სენსიმ — „მინდა ლოს ანჯელესში ან ფილადელფიაში ვიპოვნო პარტნიორი, რომელსაც რაც შეიძლება მალე დავუდებ მანჩესტერელთა მსგავს ხელშეკრულებას. მართალი გითხრათ, ჯერ არ ვიცი სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენელთან დავიჭერ საქმეს. პარტნიორი შეიძლება ბეისბოლის გუნდი იყოს, თუმცა არც კალათბურთს და ამერიკულ ფეხბურთს გამოვრიცხავ".

აღსანიშნავია, რომ „რომა", რომელსაც წლეულს დიდი შანსი აქვს 1983 წლის შემდეგ კვლავ მოიპოვოს სკუდეტო, კომერციული თვალსაზრისით იაპონიაში უკვე ფესვგადგმულია. ეს კლუბის მიერ ცნობილი იაპონელი მოთამაშის, ჰიდეტოში ნაკატას ყიდვას მოჰყვა.

ისევ სენსი: „დიახ, ნაკატას შეძენა სავიზიტო ბარათის მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ".

საკუთრივ სენსი მენავთობე მილიონერია, „რომაში" კი კაპიტალის 99 პროცენტზე მეტს ფლობს. იგი აცხადებს, რომ მას მერე, რაც კლუბის პრეზიდენტი გახდა ანუ 1993 წლიდან, უკვე 192 მილიონ დოლარამდე აქვს ჩადებული. შარშან კი რომაელები საფონდო ბირჟაზე გამოჩდნენ — იტალიაში ასეთი მხოლოდ „ლაციო" იყო.

„საფონდო ბირჟაზე ჩვენი აქციის ფასმა წელიწადის განმავლობაში 15 პროცენტით აიწია" — დაიტრაბახა სენსიმ და დაადასტურა, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტისგან „ოლიმპიური სტადიონის" შეძენას აპირებს, ხოლო ქალაქგარეთ, ტრიგორიაში მდებარე საწვრთნელი ცენტრი უნდა გაფართოვოს.

მიხეილ სურგულაძე

„მანჩესტერ იუნაიტედის" კომერციული გარიგებები

1991 — ხდება პირველი კლუბი, რომელიც საფონდო ბაზარზე იწყებს საქმიანობას. კერძოდ, მანჩესტერელებს თავიანთი აქციები ლონდონის ბირჟაზე გააქვთ.

1998 — ხდება პირველი კლუბი (სპორტის ყველა სახეობაში), რომლის შესაძენადაც მილიარდ დოლარს გამოდიან. მაშინ „იუნაიტედის" ყიდვა მას მედიის ავსტრალიელმა მაგნატმა, რუპერტ მერდოკმა გადაწყვიტა, მაგრამ ბრიტანეთის ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა გარიგება ჩაშალა. საბოლოოდ მერდოკს 105 მილიონ დოლარად კლუბის აქციათა 9,9 პროცენტი ერგო. იმავე წელიწადს მანჩესტერელები ხსნიან ფილიალებს აზიაში, ავსტრალიასა და სამხრეთ აფრიკაში, სადაც ფართოდ ასაღებენ ვიდეოკასეტებს და ატრიბუტიკას.

2000 — აფორმებს კონტრაქტს ტელეკომუნიკაციათა მსოფლიო ლიდერთან VODAFONE-სთან, ამ კორპორაციის ლოგო მანჩესტერელთა მაისურაზე 18 წლის მანძილზე ნაჩვევ SHARP-ს ცვლის. ხუთწლიანი კონტრაქტის ვადა 48 მილიონი დოლარია, რაც მსოფლიოს მორიგი რეკორდი გახლავთ. იმავე წელიწადს ფორმდება ხელშეკრულება „ნაიკთან". სარეკორდოა ამ ხელშეკრულების მონაცემებიც: 15 წელიწადი და 440 მილიონი დოლარი. ამასთანავე „იუნაიტედი" თავის ტელეუფლებებს სამი წლით 2,6 მილიარდ დოლარად ყიდის.

2001 — აფორმებს ხელშეკრულებას ამერიკულ კორპორაცია „იანკი ნეიზთან", კერძოდ კი ბეისბოლის კლუბ „ნიუ იორკ იანკიზთან".

აქეთ გვემა, იქით კვეხნა

„ბარსას" თვრამეტმატჩიანი წაუგებელი სერია სანტანდერში დასრულდა. წაგებაცაა და წაგებაც, მაგრამ ასე? 0:4 — ამას „ბარსას" მოსისხლე „რეალის" გულშემატკივარიც ვერ იფიქრებდა. „რა ვთქვათ, რით ავხსნათ, შოკია" — ნირწამხდარი იმეორებს ერთსა და იმავეს ბელარდო. გვარდიოლას არყოფნაში გაკაპიტნებულ სერხის თავი ცოცხალი ალარ უნდა, აუ, სალანძღავ სიტყვებს არ იშურებს საკუთარი თავის მისართ, თუმცა „რასინგს" აქებს და ადიდებს: „მთელი თამაშის მანძილზე ვერ მივხვდით, როგორ უნდა გაგვეტეხა მათი დაცვა. ეს მართლაც საოცრება იყო".

„რასინგზე" ჩვენც ვთქვათ. გუნდი ბოლო ტურამდე სატურნირო ცხრილის ფსკერზე იმყოფებოდა. ექვს თამაშში გაჭირვებით მოპოვებული პირველი ქულა, სეზონში მეოთხე გამარჯვება, თან ვისთან და როგორ? მეცხრე ცაზეა მწვრთნელი გრეგორიო მანსანო, აღფრთოვანებულია თავისი ბიჭებით: „ეს იყო ჯადოსნური ღამე, როგორც ექვსი წლი წინ". ზუსტად ექვსი წლი წინ მართლაც მოხდა ამგვარი სასწაული. 1995 წლის 11 თებერვალს კრუიფის ოცნების გუნდს სანტანდერელებმა ხუთი მშრალი ბურთი გაუტანეს და სირცხვილნაჭამნი გაისტუმრეს კატალონიაში.

მანსანო მოულოდნელი წარმატებით ფრთაშესხმულია და თავისი გუნდის აღმასვლას უკვე „ბარსას" გათელვიდან სულ მცირე ხანში წინასწარმეტყველებს. სულ სხვა რიხით ლაპარაკობს ლორენს სერა ფერერი. გარეგნულად მშვიდი მწვრთნელი აცხადებს, რომ მარცხი, თუნდაც ეგზომ სამარცხვინო, სულაც არ ნიშნავს გუნდის კრიზისს და საკმაოდ ადრეა მისი შეგირდების საჩემპიონო მარათონიდან ამოგდება.

რაღა ეთქმის კაცს? ვითომ გულს იკეთებს? არადა, წინა ტურში „ბარსამ" ბილბაო გაანადგურა და გულშემატკივრებიცა და ჟურნალისტებიც კრუიფის დროინდელ დიდებაზე ალაპარაკდნენ. მაგრამ რა ვუყოთ სანტანდერულ სირცხვილს. ალბათ, ლორენს სერა ფერერის თავზე კვლავაც შეიყრება შავი, ავისმომასწავებელი ღრუბლები.

სტამბოლიდან სტამბოლელის ნაცვლად

„ფიორენტინას" თავკაცმა ფათიჰ თერიმმა რომ განაცხადა, სეზონის დამთავრებისთანავე კლუბიდან წავალო, კარგა ხნის ამბავია, მართალია, ფლორენციელთა პრეზიდენტმა ვიტორიო ჩეკი გორამ [illegible] თურქს სიტყვა ჩამოუგდო, მაგრამ მათი მოლაპარაკება უშედეგო [illegible] ტომაც კლუბის ხელმძღვანელებმა ახალ მწვრთნელზე [illegible]

იტალიური გაზეთების ცნობით, ჩეკი გორამ [illegible] ერთი კვლავ თურქეთთან არის დაკავშირებული: სტამბოლის ბეშიქთაშის მწვრთნელი იტალიელი ნევიო სკალა, ხოლო მეორე, ამასწინათ „პარმადან" წასული ალბერტო მალესანი გახლავთ.

ამბობენ, რომ თუ ფლორენციულ გუნდში მალესანი მივა, მაშინ, შესაძლოა, წამყვანი მოთამაშეები რუი კოშტა და ფრანჩესკო ტოლდო არსად გაიქცევიანო.

აბა, პასპორტი მაჩვენე!

ფარიდ ცრუბერძნის ამბავი

საფრანგეთის პირველობის აუტსაიდერი „ტულუზი" „მეცთან" ნათამაშევი ფრის გასაჩივრებას და ამისთვის ერთობ პოპულარული მიზეზის მოდებას აპირებს: მეცელებს მოედანზე ისეთი ფეხბურთელი ჰყავდათ, ჯიბეში ნაცულლუტარი ევროპული პასპორტი რომ ედოო. ერთი სიტყვით, მოედანზე კი ფრე გამოვიდა, მაგრამ ცხრილში 3 ქულა ჩაგვიწერეთო.

კაცმა რომ თქვას, „ტულუზისთვის" საპასპორტო ქულების მითვლა სიახლე არ არის. მას „სენტ ეტიენთან" წაგებული თამაში სწორედ იურიდიული გამარჯვებით შეუცვალეს — „სენტ ეტიენს" ცრუ ბერძენი ლევიცკი და ცრუ პორტუგალიელი ალექსი ჰყავდა მოედანზე.

„ამ კვირაში „მეცთან" თამაშის გამო პროტესტს დავწერთ და შევიტანთ" — განაცხადა ტულუზელთა პრეზიდენტმა ჟაკ რუბიომ — „აქ, ზუსტად ის ვითარებაა, „სენტ ეტიენთან" მატჩის გამო რომ შეიქმნა და ისეთსავე გადაწყვეტილებას ველით".

საინტერესო კი ისაა, რომ „ტულუზისა" და „მეცის" მატჩი, რომელიც, ალბათ, ვერ გაიხსენეთ, 25 ნოემბრისა გახლავთ. ის 1:1 დასრულდა, ხოლო ფეხბურთელი, რომელსაც ცრუევროპელობას აბრალებენ, გახლავთ კოლუმბიელი ფარიდ მონდრაგონი, ჯიბეში ბერძნული პასპორტით.

შეაჭარე ფიფას ცერცვი

ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენ-რუფინენი, მისი უეფელი კოლეგა გერჰარდ აიგნერი, ფეხბურთელთა პროფკავშირების (FIFPRO) წარმომადგენელი ფილიპ პია სხვა მაღალი თუ დაბალი რანგის საფეხბურთო ჩინოსანთა თანხლებით ციურიხში შეიკრიბნენ და სატრანსფერო საკითხებზე ისაუბრეს.

გავიხსენოთ, რომ ფეხბურთელთა პროფკავშირები ევროკავშირის მოთხოვნებს უჭერენ მხარს, რაკი ეს მოთხოვნები მოთამაშეთათვის მეტი უფლებების მინიჭებას ითვალისწინებს და ევრომესვეურთა ფრთას შეფარებულნი გააფთრებით უტევენ ფიფა-უეფას.

შეხვედრის შემდეგ ფიფას წარმომადგენელმა თქვა, ექვს-შვიდ საკითხზე შეთანხმებას მივაღწიეთო, მაგრამ ამ სიტყვების სისწორეში ეჭვი გვეპარება. მოლაპარაკების მაგიდიდან ამდგარმა ფილიპ პიამ ჟურნალისტებს უთხრა, ამათთან ლაპარაკს აზრი არა აქვს, მაინც ვერაფერზე შევთანხმდებითო. ჰოდა, ვისი ნათქვამი ვირწმუნოთ?

ცნობილი გახდა, რომ აიგნერი და ზენ-რუფინენი პროფკავშირელებს უმტკიცებდნენ, ფეხბურთელმა კონტრაქტს პატივი უნდა სცეს და მის დასრულებამდე სხვაგან გადაბარგება გულშიც არ უნდა გაივლოსო. ამის პასუხად პიამ თქვა, კონტრაქტის პატივისცემა კარგი რამაა, მაგრამ კლუბები რად არ ასრულებენო. აკი კლუბს შეუძლია, ნებისმიერ დროს გაყიდოს ფეხბურთელი, ისე, რომ მისი აზრი და სურვილი არც გაითვალისწინოსო.

პიას კონტრარგუმენტი ჟურადსაღებია, მაგრამ... „ფიფა და უეფა ჯიუტად რჩება თავის აზრზე — ამბობს მოთამაშეთა ინტერესების დამცველი — კმარა, ჩვენ მივდივართ ციურიხიდან. ხუთშაბათს კიდევ ერთი ასეთი შეხვედრაა დაგეგმილი, თუმცა ვეჭვობ, ამას აზრი ჰქონდეს და საერთოდ გაურკვეველია, დავესწრებით თუ არა მას".

პიას ამ მკვეთრ განცხადებას, ალბათ, არაერთი კომენტარი მოჰყვება. პირველი სიტყვა კი „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა თქვა, რომელიც არსებული სატრანსფერო სისტემის შენარჩუნების თავგადაკლული მომხრეა. სისტემა თუ დაანგრიეს, პირადად მე საკლუბო ფეხბურთში არაფერი მესაქმებაო, ამბობს ფრანგი, ფეხბურთელებმა თუ ყოველ სამ თვეში ერთხელ აქეთ-იქით ირბინეს, სტაბილური შემადგენლობა როგორ უნდა შევინარჩუნოთო?

გავიხსენოთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ვენგერს ადრე უთქვამს, მომავალი სანაკრებო ფეხბურთისაა და მეც, ალბათ, იქით წავალო.

მიშელ ზენ რუფინენი და გერჰარდ აიგნერი

მილუტინოვიჩი და მილიარდობით ოცნება

ბორა მილუტინოვიჩი ახლა ჩინეთშია

ბორა მილუტინოვიჩი ღვაწლმოსილი კაცია. გამოცდილ მწვრთნელს წლების მანძილზე ათასი ჯურის ფეხბურთელი დაუმოძღვრავს. ეტყობა, უყვარს კაცს სიძნელე, რისკი. ამისთვის დაადებს თავს და ხან აფრიკაში, ხანაც კარიბის ზღვის კუნძულებზე აღმოჩნდება. ყველას კარგად ახსოვს ნიგერიელი არწივები საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მექსიკელთა და ამერიკის ეროვნული გუნდები 1986 და 1994 წლების ჩემპიონატებში. მილუტინოვიჩის დამსახურებაა კოსტა რიკის ნაკრების მონაწილეობა 1990 წლის მსოფლიოს პირველობაზე.

მცირე ხნის წინ ბორა მილუტინოვიჩი ამერიკულ „მეტრო სტარზს" ედგა სათავეში, თუმცა ეგზოტიკისა და სიახლეების მაძიებელი გუნდში დიდხანს ვერ გამაგრდა და ახალი, უცხო პრობლემები გაიჩინა. მან ამჯერად აზიის კონტინენტი არჩია და ჩინეთის საფეხბურთო ნაკრების თავკაცობა იტვირთა. ჩინელებს მსოფლიოს საფეხბურთო ოჯახში აქამდე თავი არაფრით გამოუჩენიათ. 1988 წელს ისინი ოლიმპიადაზე მონაწილეობდნენ, მანამდე კი 1984 წელს აზიის ჩემპიონატის ფინალში საუდის არაბეთის ნაკრებთან დამარცხებულან. სულ ეს არის ჩინელთა მონაგარი. დღეს მილიარდიანი ჩინეთი გაფართოებული იმედის თვალით შეჰყურებს დიდ ბორას და მისი ჯადო ხერხების წყალობით კორეა-იაპონიის საგზურზე ოცნებობს. ამიტომაც მილუტინოვიჩი აქამდე უჩვეულო წნეხში მოექცა. თუმცა ამის ნიადაგი არსებობს. მისმა შეგირდებმა ამხანაგურად, მაგრამ მაინც იდედლეს ირანელებთან და ეგვიპტესთან.

ბორა თავს იმართლებს: სიძნელეები, პასუხისმგებლობა, წარუმატებლობა მუშაობის ნაწილია. ჩინელი კაცები, ქალებისგან განსხვავებით, ნაკლებად გამოცდილნი არიან. ჩინური პროფესიული საფეხბურთო ლიგა ექვსი წლისაა და ნაკრების ყოჩი ფან ზიუი მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის პირველი დივიზიონის „კრისტალ პალასში" ირჯება. წარუმატებლობა, რომელიც ამხანაგურებში გვქონდა, მიუხედავად ყველაფრისა, შესარჩევებში არ გამეორდება" — იმედიანადაა ბორისლავი.

მის ღვაწლს კი ჟურნალისტებსა და მავან სულსწრაფთაგან განსხვავებით, ჩინელთა გენერალური მენეჯერი მართებულად ხედავს და აფასებს კიდეც: „მილუტინოვიჩი, როგორც ყველგან, ყველაფერს თავიდან იწყებს. იგი გუნდს ასწავლის თანამედროვე ფეხბურთს, ცდილობს გამოკვეთოს ლიდერები და მნიშვნელოვანწილად მათზე ააგოს თამაშის მონახაზი.

ასეთია მილუტინოვიჩის სტილი. კაცი ფეხბურთით ცხოვრობს. ენერგიას ახლა ჩინელთა წვრთნაში ხარჯავს. უყვარს სიძნელე და ახლის ქმნა. მასთან ურთიერთობა ძალიან იოლია, რადგანაც მისი ენა საფეხბურთოა და იგი ყველგან საჭირო კაცია, სადაც კი ამ სპორტს პატივს სცემენ.

შეძლებს, ამგვარი ოსტატი ბოლოს და ბოლოს ათამაშოს ჩინელები მსოფლიოს ჩემპიონატზე? ვერაფერს ვიტყვით. თვით ბორა აცხადებს: გუნდი ახალგაზრდულია, მათ საკმარისი გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ მუყაითები და ბეჯითები არიან. როდესაც გუნდი კარგად თამაშობს, მწვრთნელიც კარგია, გუნდის წარუმატებლობაც მწვრთნელს ბრალდება, ამიტომაც ჩემი ჩემოდანი ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის ჩალაგებულია. ვნახოთ, როდის მოუწევს მილუტინოვიჩს ჩინეთიდან აბარგება, კორეა-იაპონიის შემდეგ თუ...

ამასობაში, ჩინეთიდან ახალი ამბავი მოვიდა, ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ფეხბურთელთა უცხოური ტრანსფერები აკრძალა. არგუმენტი ასეთია: მწვრთნელს ნაკრების წევრები და კანდიდატები ახლოს უნდა ჰყავდეს, ამიტომ პირადი ინტერესები დაივიწყეთო.

გიორგი დარჯანია

უფასო რეკლამა

ქრისპი, შემწვარი კარტოფილის ერთგვარი ნაირსახეობა, მართლაც გემრიელი რაძაა, მითუმეტეს, თუ ფირმა „უოქერსის" მიერაა წარმოებული. ასე რომ, თუ სადმე წააწყდით, აუცილებლად გაჭკარით კბილი.

ამისკენ მოგვიწოდებს ეს ნახევრად ცოცხალი არსებაც, სამი ათასი წელი მუმიად რომ გაუტარებია, ამ ქვეყნად მობრუნებულს კი უპირველესად სწორედ ქრისპი მოუთხოვია.

„10 საათი მუშაობდნენ ჩემს გრიმზე" — თქვა სარეკლამო ტელერგოლში მუმიის როლის შემსრულებელმა.

კარგადაც უმუშავიათ. რომ არ ვიცოდეთ, ვერ ვიცნობდით.

ის ხომ ინგლისის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი, 40 წლის გარი ლინეკერია.

რესტორანი მზიანი ღამე

განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

მარბერი კოკასავითაა. გამარჯვებას ყოველთვის ვერ მოიტანს



ნიუ ჯერსი — ლეიკერსი. 50 ქულის ჩამგდებ სტივენ მარბერის ლეიკერსელი ტაირონ ლუ გადაეღობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

AP ისტ რუზერფორდიდან

13 თებერვალი

ნიუ ჯერსი 110:113 ლეიკერსი

(ძირითადი დრო 104:104)

ნიუ ჯერსი: მარბერი (50 ქულა, 12 პასი), ჰარისი (14), ვან ჰორნი (20), მარტინი (10), უშმეიერი; ნიუმენი (7), ვილიამსი (5), ფეიკი (4 ქულა, 13 მოხსნა), დუგლასი, ჯეკსონი

ლეიკერსი: ჰარპერი (7), ბრაიანტი (38), ფოქსი (13), გრანტი (12), ონილი (32 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი, 5 დაფარება); ჰორი (5), ფოსტერი (2), რაიდერი (2), ლუ (2), შოუ, მადსენი

გახსოვთ ამ კვირას ვაშინგტონში გამართული „ოლ სტარი"? თუ არ გახსოვთ, გეტყვით, რომ მაშინ ლეიკერსელმა კობი ბრაიანტმა ბოლო წუთებზე სამი მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო და დასავლელი ვარსკვლავები 110:108 წინ გაიყვანა, თუმც ნიუჯერსელმა სტივენ მარბერიმ ბოლო წამებზე სამქულიანი მოათავსა კალათში და აღმოსავლეთი პირველად და საბოლოოდ დააწინაურა. მკითხველი გაიკვირვებს, რა კავშირი აქვს „ოლ სტარს" 13 თებერვლის ნიუჯერსულ შეხვედრასთანო. კავშირი არა და მსგავსება კი ნამდვილად არის ამ ორ თამაშს შორის. შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წამით ადრე სტუმარმა ბრაიანტმა ერთ შტუკვაში სამი ქულა მიითვალა და ლეიკერსი 113:110 დააწინაურა. სტივენ მარბერიმ კი ამჯერად ვეღარ იხსნა თავისიანები. დარჩენილ ხუთ წამში მან სროლა კი მოახერხა, მაგრამ ლამის მოედნის შუაგულიდან მხოლოდ კალათის რგოლს გაარტყა ბურთი, რითაც სტუმრები აზეიმა, თავისიანები და დარბაზში თავმოყრილი 20 ათასი გულშემატკივარი („ნიუ ჯერსის" დარბაზს წლეულს ასეთი დასწრება არ ახსოვს) კი დაამწუხრა. „სტივენი ბრწყინვალე იყო. მან ყველაფერი გააკეთა მოსაგებად, შეუძლებელია, კაცს მეტი მოსთხოვო. წაგება თავისთავად საწყენია, მაგრამ ეს თამაშია და ამისთვისაც მზად უნდა იყო. სტივენისთვის კი მადლობის მეტი რა გვეთქმის, იგი მთლიანად დაიხარჯა" — შეგირდთა კრიტიკაში გაწაფულ „ნიუ ჯერსის" დამრიგებელ ბაირონ სკოტს ამჯერად მოწაფეებზე აუგი არ დასცდენია. ან კი რა უნდა ეთქვა, ბიჭებმა თავი არ დაზოგეს და ტოლ-სწორად ეპაექრნენ ჩემპიონებს. გამარჯვებაც დამატებითი დროის ბოლო წამებზე გაუფრინდათ ხელიდან.

ამ კვირას ოლსტარდაჭაშნიკებული და ჯერაც ვაშინგტონური შთაბეჭდილებებით აღსავსე მარბერი ხომ მართლაც შეუდარებელი იყო. მისი შეჩერება გადაუჭრელ ამოცანად ექცათ სტუმრებს, მარბერიმაც საუკეთესოდ ითამაშა და ხუთწლიან კარიერაში სარეკორდო, 50 ქულა მოიხვეჭა. ბურთებს ხომ ბლომად ყრიდა, მაგრამ „ნიუ ჯერსის" გამთამაშებელს არც უშუალო მოვალეობა — ბურთის გათამაშება დავიწყებია, თანაგუნდელთ 12 პასი ჩამოურიგა. ერთი სიტყვით, ჩემპიონ „ლეიკერსს" მთავარი წინააღმდეგობა სწორედ მან გაუწია და ლოსანჯელესელებს სუსტი მეტოქის დამარცხება აგრერიგად რომ გაუჭირდათ, სწორედ მისი დამსახურებაა.

აქამდე „ბადეებს" ზედიზედ სამი მეტოქე გაეშწარებინათ, მათ შორის ორი ბობოლა — „ფილადელფია" და „სან ანტონიო". ამ უკანასკნელს მანამდე ზედიზედ რვა თამაში მოეგო. ნიუჯერსელები ჩემპიონ „ლეიკერსთანაც" გამარჯვებას ესწრაფვოდნენ. მასპინძელთა ამოცანას მშვენიერ ფორმაში მყოფი კობი ბრაიანტის გარდა შაკილ ონილის გამოჩენაც ართულებდა. ტერფმტკივნმა შაკმა „ოლ სტარზე" თქვა უარი, თორემ რეგულარული ჩემპიონატის რიგითი მატჩის გამართვის დრო რომ დადგა, ტკივილი დავიწყა და „ნიუ ჯერსის" მაღლებს რისხვად მოევლინა. ვინ არ სცადა ამ დეკაკის შეჩერება, თუმც ყველა ამაოდ დაშვრა. შაკმა „ბადეთა" ახალგამომცხვარი ძირითადი ცენტრის, ევან ეშმეიერის მოედნიდან გასტუმრებას 15 წუთი მოანდომა, ამასთან, მეურვე უქულოდაც დატოვა, მისმა შემცვლელმა აარონ ვილიამსმა კი უკვე 19 წუთში მიიღო ხუთი პერსონალური. მასპინძელთა კიდევ ერთ მეფარეს, ახალბედა კენიონ მარტინსაც ექვსი პერსონალურის გამო უფრო ადრე მოუწია სათადარიგოებში გადაბარგებამ, ვიდრე სურდა. შაკსაც ხშირად უხდებოდა საჯარიმოს ხაზთან დადგომა და... ტრადიციულად უხეიროდ ისროდა: 24 სროლიდან ნახევარი ააცილა. ეს არცაა გასაკვირი, ფარისგან სამი-ოთხი მეტრის მოშორებით ონილი უსუსურ ბალლად იქცევა-ხოლმე, სამაგიეროდ, ფარქვეშა სივრცის სრული ბატონ-პატრონი გახლავთ.

ფარსგარეთ კი ბრაიანტი ბობოქრობდა და რომ არა მასპინძელ სტივენ მარბერის მშვენიერი და, რაც მთავარია, სასარგებლო თამაში, „ლეიკერსი" ადრევე მოუთავებდა ხელს მეტოქეს.

ჩემპიონები მაინც თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ მცირეოდენ უპირატესობას და ბოლო მეოთხედის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე 100:88 იგებდნენ, თუმც აქ მარბერიმ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და ოთხწუთიანი მონაკვეთი მასპინძლებს 16:4 მოაგებინა. მან 16 ქულიდან 13 საკუთარ ანგარიშზე ჩაიწერა, მათ შორის ის სამქულიანიც, რომელიც სირენამდე 27 წამით ადრე ჩაგდო — 104:104 გახადა და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა.

„მარბერიმ ძალიან ბევრი მნიშვნელოვნი ბურთი ჩააგდო, სულ, თუ არ ვცდები, ოციოდე (17 სროლა ჩააგდო მარბერიმ) და აქედან შვიდი-რვა რომ აეცილებინა, თამაში სრულიად იცვლიდა სახეს" — ამბობდა ნამატჩევს ლეიკერსელი შაკილ ონილი.

დამატებით დროში გუნდები თანაბრად შეეტაკნენ ერთმანეთს და ოვერტაიმის ანგარიში 6:6 იყო, სანამ კობი ბრაიანტი იყოჩაღებდა, შემდეგ კი მარბერიმაც ააცილა ათიოდ მეტრიდან ნასროლი.

„სტივენი ყველა თამაშში ვერ მოგვიტანს 50 ქულას, სხვებმაც უნდა გამოვიღოთ ხელი" — უთქვამს „ნეთსის" თავდამსხმელ კიტ ვან ჰორნს, ისე კი, მას საკუთარი თავის მიმართ სასაყვედურო არაფერი აქვს, ოცი ქულა გაუხერხა „ბადეებს" და მათ რიგებში მარბერის შემდეგ ყველაზე შედეგიანიც იყო.

რაც შეეხება „ნიუ ჯერსის" ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას, იგი არც ამჯერად გამოჩენილა მოედანზე. ეს ზედიზედ მეცხრე თამაში იყო, რომელიც ჩვენებურმა გამოტოვა

ინდიანა 66:77 შარლოტი

ინდიანა: ჰარინგტონი (12)
შარლოტი: მაშბურნი (18 ქულა, 11 მოხსნა)

კლივლენდი 105:120 ტორონტო

კლივლენდი: ვეზერსპუნი (21 ქულა, 10 მოხსნა), მილერი (18 ქულა, 11 პასი)
ტორონტო: კარტერი (33), დევისი (25 ქულა, 13 მოხსნა)

მაიამი 101:99 კლიპერსი

(ძირითადი დრო 90:90)

მაიამი: ჯონსი (22), მეისონი (21 ქულა, 10 მოხსნა), ჰარდვეი (20)
კლიპერსი: ოდომი (19), მაკინისი (17)

მილუოკი 104:107 ფილადელფია

მილუოკი: რობინსონი (28), ალენი (27), კასელი (20 ქულა, 13 პასი)
ფილადელფია: აივერსონი (49), მაკკი (17)

იუტა 94:97 საკრამენტო

(ძირითადი დრო 89:89)

იუტა: მელოუნი (28), მარშალი (14 ქულა, 15 მოხსნა, 6 დაფარება)
საკრამენტო: ვებერი (34), სტოიაკოვიჩი (19), ჯეკსონი (17)

ჩიკაგო 96:92 ატლანტა

ჩიკაგო: მერსერი (19), ფიზერი (19), ბრენდი (17 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი)
ატლანტა: ტერი (22), რაიტი (22), მუტომბო (19 ქულა, 17 მოხსნა, 7 დაფარება)

ჰიუსტონი 99:89 ვაშინგტონი

ჰიუსტონი: ფრენსისი (29), ოლაჯუონი (15 ქულა, 20 მოხსნა)
ვაშინგტონი: ჰამილტონი (24)

სან ანტონიო 104:92 დალასი

სან ანტონიო: დენკინი (28 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი, 6 დაფარება), დანიელსი (18)
დალასი: ფინლი (26), ნოვიცკი (20 ქულა, 10 მოხსნა)

დენვერი 96:77 ნიუ იორკი

დენვერი: ვან ექსელი (24 ქულა, 12 პასი), ლაფრენცი (21), მაკდაიესი (17 ქულა, 11 მოხსნა)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (15)

პორტლენდი 109:88 მინესოტა

პორტლენდი: ვოლესი (18), ველსი (18)
მინესოტა: გარნეტი (20 ქულა, 14 მოხსნა)

ვანკუვერი 99:98 ბოსტონი

ვანკუვერი: ბიბი (25 ქულა, 11 პასი), რივზი (24 ქულა, 12 მოხსნა), აბდურ-რაჰიმი (18)
ბოსტონი: უოლკერი (27), პირსი (25)

გოლდენ სტეიტი 83:93 ფინიქსი

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (26)
ფინიქსი: მარიონი (28 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება)

„იუტა ჯაზის" 37 წლის თავდამსხმელ კარლ მელოუნს იმდენჯერ უთამაშია ყველა ვარსკვლავის მატჩში, რომ ჩამოსათვლელად ორივე ხელის თითები არ ეყოფა. ორჯერ „ოლ სტარის" უძვირფასესი მოთამაშის წოდებაც დაუსაკუთრებია, მაგრამ კალათბურთის ზეიმს მისთვის ასე უფერულად არასდროს ჩაუვლია, როგორც ამ უქმეებზე. დასავლელთა მწვრთნელმა რიკ ადელმანმა, რომელიც ნორმალურ პირობებში „საკრამენტოს" წვრთნის, ბებერი „ფოსტალიონი" ოთხიოდ წუთით შემოასეირნა მოედანზე და მას შემდეგ, რაც მელოუნმა სამი ბურთი ვერ ჩააგდო, მას უკანვე უხმო. თუმც კარლს თუ ვენდობით, მას ეს გულში ხინჯად არ ჩარჩენია, თურმე ის უფრო უკლავდა გულს, რომ ძმაკაცის, ჯონ სტოქტონის გარეშე თამაშობდა. ისიც კი უთქვამს, უმისოდ ჩემს თამაშს აზრი არა აქვსო.

და აი, „ოლ სტარიდან" ორი დღის შემდეგ მელოუნი და მისი რაზმი მშობლიურ „დელტა სენთერში" დახვდა „საკრამენტოს", რომელსაც აქ შორეული 1993 წლიდან არ მოეგო და „ფოსტალიონს" ჯავრის ამოყრის შანსი მიეცა, ჯონ სტოქტონიც ხომ გვერდით ჰყავდა. მელოუნსა და სტოქტონს (13 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა) ურიგოდ არ უთამაშიათ, მაგრამ მათმა „იუტამ" მაინც დაიჩოქა კრის ვებერის „კინგზთან". ვებერს თვით მელოუნი მეურვეობდა და არაფერი გამოუვიდა, ბოლოს მოთმინებადაკარგულმა კარლმა ვებერს ოდაყვი ჩასცხო და საკრამენტოელი მოედნიდან გაიყვანეს, თუმც ამით „იუტას" მაინც არ ეშველა. მასპინძლებმა შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანეს, აქ კი უვებეროდ დარჩენილ „მეფეებს" სათადარიგო ბობი ჯეკსონი გაუძღვა და „ჯაზს" რისხვად დაატყდა თავს. მას „საკრამენტოს" რვავე საოვერტაიმო ქულაში უდევს წილი — ოთხი თავად ჩაგდო, ორჯერაც სტოქტონს მოპარა ბურთი და თავისიანებს ჩაგდებინა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „საკრამენტოს" იუგოსლავიელი ცენტრი ვლადე დივაცი ლამის ბავშვობიდან ნბა-ში თამაშობს, თუმც ამ უქმეებზე ცხოვრებაში პირველად უხმეს „ოლ სტარში", ისიც ტრავმირებული შაკილ ონილის სანაცვლოდ. დივაცმა ვაშინგტონში ცხრა წუთში რვა ქულა გაუხერხა დასავლელებს, „იუტასთან" კი შერცხვა და ამ სასახელო გამარჯვებაში ოდენ ორი ქულით შეიტანა წვლილი.

რადგან „ოლ სტარზე" ჩამოვაგდეთ სიტყვა, ისიც ვთქვათ, რომ რამდენიმე დღის წინ ფილადელფიელი ალენ აივერსონი და მილუოკელი რეი ალენი დასავლელ ვარსკვლავთა კალათებს ერთობ წარმატებით აოხრებდნენ. ახლა კი აივერსონმა რეი ალენის "მილუოკის" კალათა აიკლო. „ოლ სტარის" უძვირფასესმა კალათბურთელმა 49 ქულა ჩაუგდო „ბაქსს" და სეზონში მეათედ გადააბიჯა 40-ქულიან ზღურბლს. ამ 49 ქულიდან 6 კი ფილადელფიელმა მატჩის ბოლო 24 წამში მოიხვეჭა, რითაც ატლანტიკის დივიზიონის ლიდერს ცენტრალური დივიზიონის პირველი გუნდი დაამარცხებინა.

კიდევ ერთ აღმოსავლელ ბობოლას, „მაიამი ჰითს" შინ მძიმე ბრძოლა გადახდა უსახურ „კლიპერსთან". სტუმრებმა არად ჩაგდეს, რომ მასპინძლებს ათი თავით ჩამორჩებიან და გვარიანადაც ანერვიულეს პატ რაილი და მისი შეგირდები, მაგრამ მაიამელთა მღელვარება მაშინვე ჩაცხრა, როგორც კი შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა — „კლიპერსი" ხომ ის გუნდია, ვისაც შეხვედრა ოვერტაიმში სხვაზე ხშირად გადაჰყავს, იქ კი სრულად უსუსური ხდება. სხვათა შორის, „მაიამიმ" სტუმრადაც სძლია „კლიპერსს" ამ ორი თვის წინ და მაშინაც ოვერტაიმში. ამ გამარჯვებით „ჰითი" როგორც იქნა, აცდა ატლანტიკის დივიზიონის ცხრილის მესამე საფეხურს, „დენვერთან" შერცხვენილი „ნიუ იორკი" დააქვეითა და თავად მეორე ადგილზე მოიკალათა.

შინ „ატლანტასთან" მოთამაშე „ჩიკაგო ბულზი" პირველი ტაიმის შემდეგ ჯორჯიელებს 16 ქულას უგებდა, მაგრამ იმდენი ქნა, ბოლო მეოთხედისთვის ამ უპირატესობიდან ქულაც არ შერჩა. თუმც ეს რა გასაკვირია, „ხარებს" იმდენ ხანს არ მოეგოთ, რომ არც ახსოვდათ, როგორ უნდა დაამარცხო მეტოქე. მათდა საბედნიეროდ, მაინც იმარჯვეს და დაასრულეს სამარცხვინო 16-მატჩიანი წაგებების სერია, რაც ყველაზე გრძელია კლუბის ისტორიაში.

კიდევ ერთმა აღმოსავლელმა მაჩანჩალამ, მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონმა" შინ ვერაფერი გააწყო „ჰიუსტონთან" და მის ბებერ ცენტრ ჰაკიმ ოლაჯუონთან. ეს ისევ ძველი ჰაკიმი იყო, თანაც, მან უკვე ზედიზედ მეოთხედ გაიბრწყინა ძველებურად. ტრავმებითა და ოპერაციებით გატანჯულმა ოლაჯუონმა იმდენი შეძლო, 15 ქულასა და 20 მოხსნასთან ერთად 4 ჩაჭრა და 3 დაფარება მიითვალა. ერთ თამაშში ოცი ბურთის მოხსნა იოლი საქმე არაა, რაზეც ისიც მიუთითებს, რომ ეს შედეგი სეზონში სარეკორდოა არა მარტო ოლაჯუონისთვის, არამედ მთლიანად „ჰიუსტონისთვის".

სეზონის შუაწელში საფუძვლიანად მოღონიერებული „მინესოტა" დასავლეთში უძლიერეს „პორტლენდთან" მარცხს პირველივე მეოთხედის შემდეგ შეეგუა, რომელიც 28:16 დათმო. და მაინც, „მგლები" უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ, რადგან ამ წაგებამდე ზედიზედ თერთმეტჯერ იზეიმეს გამარჯვება. ზედიზედ ამდენი „მინესოტას" არსებობის მანძილზე არ მოუგია და არც არავის ამ სეზონში.

სხვათა აღმასვლის ფონზე კი თავისი ვარდნით მკვეთრად გამოირჩევა ვიცე-ჩემპიონი „ინდიანა პეისერზი". აიზია ტომასის შეგირდებმა მრავი მატჩი დათმეს, თან ისე, რომ მეტოქეს ოდენ 66 ქულა ჩაუგდეს. „მარდებისთვის" ეს ყველაზე ცუდი შედეგია ბოლო სამ სეზონში, მაგრამ რეკორდ-ანტირეკორდებს ვინღა ჩვენს, რამდენიმე თვის წინ აღმოსავლეთში საუკეთესო გუნდს ისე აქვს საქმე, კონფერენციის რვა საუკეთესოს შორის და ამდენად, პლეი ოფში მოხვედრა სათუოდ გახდომია.

ირაკლი ფირაყვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
ფილადელფია	37	14	72,5
მაიამი	31	20	60,8
ნიუ იორკი	29	19	60,4
ორლანდო	25	23	52,1
ბოსტონი	22	28	44,0
ნიუ ჯერსი	17	35	32,7
ვაშინგტონი	12	38	24,0

ცენტრალური დივიზიონი

მილუოკი	29	19	60,4
ტორონტო	27	23	54,0
შარლოტი	27	25	51,9
ინდიანა	21	28	42,9
კლივლენდი	20	28	41,7
დეტროიტი	19	31	38,0
ატლანტა	16	34	32,0
ჩიკაგო	7	42	14,3

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

სან ანტონიო	32	16	66,7
იუტა	32	16	66,7
მინესოტა	32	19	62,7
დალასი	31	20	60,8
დენვერი	28	24	53,8
ჰიუსტონი	26	25	51,0
ვანკუვერი	14	36	28,0

წყნარი ოკეანის დივიზიონი

პორტლენდი	36	15	70,6
საკრამენტო	32	15	68,1
ლეიკერსი	32	16	66,7
ფინიქსი	29	20	59,2
სიეტლი	28	24	53,8
კლიპერსი	16	35	31,4
გოლდენ სტეიტი	15	34	30,6

ჩრდილოური ევროდეგბიუტი

რა შეუძლია ბასკოს?

NEBL

ხვალ ბათუმში ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის (NEBL) მეორე დივიზიონის, იგივე „ჩელენჯ კაპის“ გათამაშება იწყება. ეს ასპარეზობა სადებიუტოა, ქართული გუნდიც შესაბამისად, პირველად მონაწილეობს ამ ტურნირში. ლიგის ხელმძღვანელობამ საქართველოს ჩემპიონ ბათუმის „ბასკოს“ ჯერ „ჩელენჯ კაპზე“ თამაშის, შემდეგ კი პირველი ეტაპის ერთ-ერთი ტურის მასპინძლობის უფლება მისცა.

NEBL ოთხი წლის წინათ დაარსდა. მისი დამფუძნებლები იყვნენ ბალტიის რესპუბლიკების, შვედეთის, ფინეთის და დანიის კალათბურთის ფედერაციები, აგრეთვე კერძო პირებიც. ლიგის შექმნის იდეა წარსული დიდ მოთამაშეს, ოლიმპიურ ჩემპიონს, ლიტველ შარუნას მარჩულიონისს ეკუთვნის. და არა მხოლოდ იდეა — მან ითავა ძირითადი საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და როცა NEBL დაფუძნდა, მარჩულიონისი ერთხმად აირჩიეს მის კომისრად.

NEBL ოფიციალური ორგანიზაციაა, სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) მიერ აღიარებული. ეს ორი უწყება მჭიდროდ თანამშრომლობს და შორს მიმავალი გეგმებიც აქვთ, რომელთა შესახებაც ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ.

წლეულს NEBL-ის მესამე ჩემპიონატი მიმდინარეობს. პირველი კაუნასის „ჟალგირისმა“ მოიგო, შარშანდელი — მოსკოვის ცსკა-მ. პირველ დივიზიონში უმეტესად დამფუძნებელი ქვეყნების და რუსეთის კლუბები თამაშობენ. ტურნირის მოქნილი განრიგისა და მონაწილეთათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობების გამო (გუნდების ტრანსპორტირების, სასტუმროში განთავსების და კვების ხარჯვებს თითქმის მთლიანად ლიგა ფარავს), NEBL-ის ჩემპიონატში გამოსვლის სურვილი უამრავ კლუბს გაუჩნდა. ლიგა ჯერ თავს იკავებდა გაფართოებისგან, მერე კი პოზიცია შეიცვალა და მეორე დივიზიონი ჩამოაყალიბა, რომლის გათამაშებასაც „ჩელენჯ კაპი“ უწოდა.

„ჩელენჯ კაპზე“ ასპარეზობა 50 გუნდს სურდა, ადგილი კი სულ 12 იყო. ამიტომ ლიგამ გულდასმით შეისწავლა თითოეული კანდიდატის მონაცემები, შესაძლებლობები, საკალათბურთო ინფრასტრუქტურა და რჩეულებიც დაასახელა. მათ შორის ბათუმის „ბასკოც“ იყო.

სად საქართველო და სად ჩრდილოეთ ევროპა, მაგრამ ამ შემთხვევაში NEBL-ის და „ბასკოს“ ინტერესები გადაიკვეთა. ჩრდილოელებს შეჯიბრების არეალის გაფართოება სურდათ, ხოლო ჩვენებურებს — ევროპაში გასვლა და ძლიერ გუნდებთან ჭიდილი. თუმცა, „ბასკოს“ მიღება NEBL-ის ოჯახში არცთუ იოლად მოხდა: კლუბის ხელმძღვანელები რამდენჯერმე შეხვდნენ ლიგის მმართველებს და სათანადო დოკუმენტაცია-არგუმენტებით შეიარაღებულებმა მიზანს მიაღწიეს.

„ბასკო“ ამით არ დაკმაყოფილდა და „ჩელენჯ კაპის“ ერთ-ერთი ტურის ბათუმში გამართვა განიზრახა. ამ საქმეში ლიგის მამების დაყოლიება უფრო რთული იყო. აქ სულ სხვა რამე იყო საჭირო — უპირველესად თანამედროვე დარბაზი, სტუმარი გუნდების სათანადოდ დაბინავება და თანამგზავრის საშუალებით ტურის მატჩების ევროპაში ტრანსლირება... ეს ძირითადი, თორემ წვრილმანებზე აღარაფერს ვამბობთ.

საჭირო იყო სერიოზული ხელშეწყობა, რომელმაც არ დაიგვიანა: აჭარის ხელმძღვანელობამ „ჩელენჯ კაპთან“ დაკავშირებული ყველა პრობლემის მოგვარება ითავა. ბათუმის საკალათბურთო დარბაზი ბოლომდე გარემონტდა და არაფერი დაეწუნება, რიგიანი სასტუმროებიც შეირჩა, მოგვარდა ტელეტრანსლაციის საკითხი. ბათუმელებმა ყველაფერი მოახსენეს NEBL-ის მმართველობას და ამას სათანადო ვიდეომასალაც დაურთეს. ლიგის შესაბამისმა კომისიამ იმსჯელა და „ჩელენჯ კაპის“ პირველი ეტაპის ტურის გამართვა ბათუმში გადაწყვიტა.

„ჩელენჯ კაპის“ A ჯგუფში „ბასკოს“ გარდა ბელარუსის „გროდნო-93“ და ორი ესტონური გუნდი, ტალინის „ნიბიტი“ და ტარტუს „დელტა“ ითამაშებს. ეს ტურნირი „ბასკოსთვის“ პირველი სერიოზული გამოცდა იქნება, რადგან საქართველოს ჩემპიონს აქამდე მხოლოდ ქვეყნის პირველობაზე და თურქეთის რამდენიმე კლუბთან ჰქონდა ნათამაშევი. „ჩელენჯ კაპი“ ნათლად წარმოაჩენს „ბასკოს“ შესაძლებლობებს და ევროპაში ქართული საკლუბო კალათბურთის ადგილზეც შეგვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას.

ზემოთ ფიბა-ს და NEBL-ის თანამშრომლობა და სამომავლო გეგმები ვახსენეთ. ფიბა-ს თავის სტრუქტურის და მუშაობის ძირფესვიანი გადახალისება გადაუწყვეტია და ამისთვის კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს. ამის დასტურია ULEB-ის, ანუ ამბოხებულთა ევროლიგასთან დიალოგის წამოწყება. კალათბურთის მმართველ ორგანიზაციას ორად გახლეჩილი ევროპის საკლუბო კალათბურთის გამთლიანება და ევროთასების ერთიანი სისტემის შექმნა სურს. პროექტის მიხედვით, დღევანდელი სპორტას და კორაჩის თასები შეერთდება და ერთ ტურნირად გარდაიქმნება. მოსალოდნელია, რომ ახალი ევროთასის გათამაშება კონფერენციულ-რეგიონალური პრინციპით მოეწყობა. კონფერენცია სულ ოთხი იქნება და NEBL ერთ-ერთად მოიაზრება. ასე რომ, ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგას პერსპექტივა აქვს და მასთან თანამშრომლობა ნამდვილად ღირს. „ბასკომ“ გზა გაკვალა, იქნებ მომავალში მას სხვა ქართული კლუბებიც შეუდგნენ.

NEBL. „ჩელენჯ კაპი“
A ჯგუფის თამაშთა განრიგი

16 თებერვალი	
17:00	დელტა — ნიბიტი
19:00	ბასკო — გროდნო-93
17 თებერვალი	
17:00	გროდნო-93 — დელტა
19:00	ბასკო — ნიბიტი
18 თებერვალი	
17:00	ნიბიტი — გროდნო-93
19:00	ბასკო — დელტა

ეგნატე ფიფიას სახელობის საექიმო-ფიზიკური ინსტიტუტი
აცხადებს მსურველთა მიღებას
ინგლისური ენის გაძლიერებული შესწავლის ჯგუფში
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 6ა
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ: 98 53 62 (11-დან 14 საათამდე)

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

AP კალგარიდან

კალგარი — ვაშინგტონი. კალგარელი დენის გოტიე შაიბის ნაცვლად შევარდა ოლაფ კოლციგის კარში

საით გაფრინდება რუსული რაკეტა?

13 თებერვალი

ტამპა 2:5 ფინიქსი

(1:0 0:3 1:2)

1:0 ლედიარდი 20(1), 1:1 ჟიუნო 28(4), 1:2 გრინი 29(9), 1:3 რენიკი 37(20), 2:3 სენტ ლუისი 42(10), 2:4 ჭეი 16(8), 2:5 უილსონი 60(13)

ატლანტა 5:4 ბუფალო

(1:1 2:1 2:2)

1:0 ფერარო 1(22), 1:1 ანდრეიჩუკი 12(13), 2:1 დომინიჩელი 43(8), 2:2 ჭრეტონი 24(15), 3:2 ფერარო 26(23), 3:3 შატანი 49(18), 3:4 ვარადა 52(9), 4:4 ფერარი 54(24), 5:4 დომინიჩელი 55(9)

მონრეალი 2:3 კოლორადო

(1:1 0:0 1:1 0:1)

0:1 ფრური 7(16), 1:1 ბარკოვი 7(6), 1:2 ჰეიდუკი 45(31), 2:2 ლინდენი 51(12), 2:3 საკიკი 53(33)

ნეშვილი 1:2 დალასი

(0:1 0:0 1:1)

0:1 ჰალი 15(28), 0:2 მოდანო 51(19), 1:2 ჩელბერგი 59(10)

კალგარი 4:4 ვაშინგტონი

(3:1 0:3 1:0 0:0)

1:0 ვ. ბურე 5(17), 2:0 სავარი 15(19), 2:1 გონჩარი 17(14), 3:1 სტილმანი 19(21), 3:2 კოტე 31(5), 3:3 ხრისტიჩი 32(9), 3:4 ჰალპერნი 35(10), 4:4 სავარი 46(20)

სასიკეთო პირი არ უჩანს ერიკ ლინდროსისა და ფილადელფიის გენერალური მენეჯერის, ბობი კლარკის დაპირისპირებას. მათი გართულებული ურთიერთობა ლიგის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშის გუნდში დაბრუნებას შეუძლებლად ხდის, სხვაგან გადასვლის საკითხიც უსაშველოდ ჭიანურდება. თითქოს გამოჩნდა ტორონტოს ვარიანტი და მხარეებიც შეთანხმდნენ, მაგრამ კომპენსაციაზე ვერ მოილაპარაკეს. და აი, გუშინ კლარკმა საბოლოოდ განაცხადა, რომ აზრთა სხვადასხვაობის გამო ლინდროსის ტორონტოში გადაბარგება სრულიად გამორიცხულია.

ამასობაში კი ახლოვდება დედლაინი და მოსალოდნელ ტრეიდებზეც სულ უფრო ბევრს ლაპარაკობენ. ყველაზე მეტ მითქმა-მოთქმას პაველ ბურე იწვევს. ჩინებულ ფორმაში მყოფი მისი გუნდი, ფლორიდა, როგორც ჩანს, პლეი ოფის მიღმა დარჩება, რაც „რუსული რაკეტის“ შანსებს კიდევ უფრო ზრდის. გამოჩენილი სნაიპერის გადაბირება ბევრს სურს, თუმცა ზოგს მისი მეტისმეტი ინდივიდუალურობა აშინებს. „პანტერების“ მესვეურებსაც, ალბათ, ადვილად ეთმობათ იგი იმის გამო, რომ გუნდური სულისკვეთებით არ გამოირჩევა. თუმცა ეს სულაც არ აფიქრებს დეტროიტს, რომელსაც ყველაზე მეტად უნდა ბურეს თავისთან ხილვა.

ბურეს გარდა ხშირად ახსენებენ რეინჯერსის ვეტერანებს. თუ მარკ მესიეს პოტენციური მყიდველი ჯერ არ ჩანს, მეკარე მაიკ რიხტერი და მცველი სილვენ ლეფევრი უკვე შეათვალიერეს. პირველის ყიდვა სენტ ლუისს სურს, რომელიც წინა პლეი ოფში სწორედ მეკარეებმა დააღალატეს.

სხვა ცნობილ ჰოკეისტთა შორის შეიძლება ატლანტელი დონალდ ოდეტი გამოვარჩიოთ. ფორვარდი თავის კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს და მის მიმართ ინტერესს მომძლავრებული სან ხოსე იჩენს. იქნებ ზოგს ეს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ კვლავ იპყრობს ყურადღებას ნჰლ-ისგან განდგომილი ორი ჰოკეისტი. პირველი ფინიქსის ყოფილი გოლკიპერი ნიკოლაი ხაბიბულინია, რომელიც შონ ბურკმა გუნდიდან თითქმის განდევნა, თუმცა კონტრაქტზე მოდავე რუსის გადაბირებას თურმე ლოს ანჯელესი ლამობს.

მეორე კი ავადსახსენებელი მარტი მაკსორლი გახლავთ. მისი საქციელი და ერთწლიანი დისკვალიფიკაცია სულაც არ აშინებს იმავე ოტავას მესვეურთ, რადგან ამ ევროპელებით გადაჭედილ გუნდს ჰაერივით სჭირდება ხისტი და ამასთანავე გამოცდილი მცველი.

მოკლედ, ჭორებს რა დალევს, ყველაფერი კი მოგვიანებით გაცხადდება, როცა გუნდების საპლეიოფო მომავალი გამოიკვეთება. სამშაბათს კალგარის ვაშინგტონთან შეხვედრაში მეტად საჭირო ორი ქულის მოპოვება შეეძლო, მაგრამ ოვერტაიმში ვალერი ბურემ ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, მატჩის გმირი გამხდარიყო.

დღის დანარჩენ მატჩებში პლეი ოფის სავარაუდო მონაწილეები აუტსაიდერებს ხვდებოდნენ, ამიტომ ამ შეხვედრებს პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა. თუმცა ლამის ყველა წყვილმა დაძაბული ბრძოლა გაარაღა. მხოლოდ ტამპამ ვერ გაუწია წინააღმდეგობა ფინიქსს, მიუხედავად იმისა, რომ ლიდერი ვენსენ ლაკავალი [illegible] ხელეკრა.

ნეშვილმა დალასს მატჩის მიუღებელს ერი[illegible] [illegible] ედ ბელფორს სეზონში მე-8 შათაუტის გაკეთება არ აცალა, ბოლო წამებზე კი ლამის ფრეც გამოგლიჯა ხელიდან.

ასევე პლეი ოფის მიღმა დარჩენილი ატლანტა კი გულს იმით თუ დაიმშვიდებს, რომ დღესდღეობით მის ფორვარდებს ყველაზე მეტი — ექვსი ჰეთ თრიქი აქვთ შესრულებული. მორიგი სამი გოლი ვეტერანმა რეი ფერარომ მიითვალა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ შარშან იგი კარიერის დასრულებას აპირებდა, რადგან დებიუტანტ ატლანტას გარდა არავინ ეპატიჟებოდა, მაგრამ ახლა ფერერო „თრეშერზში“ ჩინებულად გრძნობს თავს, ახალგაზრდული ჟინით თამაშობს და ყველაფერი გამოსდის. მისი და დონალდ ოდეტის დუეტიც ლიგაში ერთ-ერთი მრისხანეა. ამჯერადაც ბუფალოსთან შეხვედრაში სწორედ ამ ორმა შეიტანა გარდატეხა, ჰეთ თრიქი კი ფერეროსთვის კარიერაში მე-10 გამოდგა. ბუფალოს ვეტერანმა დუგ გილმორმა კი ორი პასის ხარჯზე 1328 ქულა დააგროვა და ნჰლ-ის ისტორიაში მე-19 ბომბარდირი გახდა, ხოლო 903 პასით — მე-12 ასისტენტი.

სამფელ ლარიბიანი

AP ატლანტიდან

ატლანტელმა რეი ფერარომ ბუფალოელებს სამი შაიბა გაუტანა

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
◆ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
◆ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
◆ კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აბრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები

15 თებერვალი

21.15 509	სლავია-კაიზერსლაუტერნი	2,5	3,0	2,5
22.30 510	ალავესი-ინტერი	2,5	3,0	2,5
23.00 511	აეკ-ბარსელონა	3,5	3,0	2,0
23.00 512	პსვ ეინდჰოვენი-პარმა	2,4	3,0	2,7
23.30 513	შტუტგარტი-სელტა	1,9	2,9	3,6
23.30 514	რაიო ვალეკანო-ბორდო	2,1	2,9	3,4
24.00 515	რომა-ლივერპული	1,65	3,1	4,7
01.30 516	პორტუ-ნანტი	2,0	2,9	3,6

უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

15 თებერვალი

21.00 601	სლავია.	-4,0	კაიზერსლაუტერნი	-1,15
22.30 602	ალავესი	-3,5	ინტერი	-1,2
23.00 603	აეკ	-7,5	ბარსელონა	-1,05
23.00 604	პსვ ეინდჰოვენი	-3,5	პარმა	-1,2
23.30 605	შტუტგარტი	-1,7	სელტა	-1,7
23.30 606	რაიო ვალეკანო	-1,8	ბორდო	-1,6
24.00 607	რომა	-1,4	ლივერპული	-2,3
01.30 608	პორტუ	-1,8	ნანტი	-1,6

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	15 თებერვალი									
21.00 709	სლავია-კაიზერსლ.	4,7	10,0	15,0	5,3	4,7	5,3	15,0	10,0	4,7
22.30 710	ალავესი-ინტერი	4,7	10,0	15,0	5,3	4,7	5,3	15,0	10,0	4,7
23.00 711	აეკ-ბარსელონა	6,0	10,0	15,0	6,5	4,7	4,4	18,0	10,0	3,2
23.00 712	პსვ-პარმა	4,2	10,0	18,0	5,3	4,7	5,3	15,0	10,0	4,7
23.30 713	შტუტგარტი-სელტა	3,2	10,0	18,0	4,2	4,7	6,5	15,0	10,0	6,0
23.30 714	რაიო ვალეკანო-ბორდო	3,3	10,0	18,0	5,0	4,7	6,0	15,0	10,0	5,3
24.00 715	რომა-ლივერპული	2,3	12,0	20,0	3,6	5,0	8,5	16,0	10,0	7,0
01.30 716	პორტუ-ნანტი	3,2	10,0	18,0	4,2	4,7	6,5	15,0	10,0	6,0

კალათბურთი

15 თებერვალი

04.00 820	ინდიანა-დეტროიტი	1,2	12,0	2,8
05.00 821	ტორონტო-მაიამი	1,7	12,0	1,7
05.30 822	დალასი-კლივლენდი	1,15	12,0	4,0
05.30 823	სან ანტონიო-ვაშინგტონი	1,05	12,0	7,5
07.00 824	პორტლენდი-საკრამენტო	1,25	12,0	3,1
07.00 825	სიეტლი-ბოსტონი	1,2	12,0	3,1
07.00 826	ვანკუვერი-გოლდენ სტეიტი	1,5	12,0	2,0

დღეს, 15 თებერვალს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

კალათბურთი. სუპროლიგა

15 თებერვალი

21.00 830	ულქერი-ცსკა	1,45	12,0	2,1
21.00 831	ლიეტუვოს რიტასი-პანათინაიკოსი	3,1	12,0	1,2
21.00 832	ცეპტერი-სიენა	1,7	12,0	1,7
23.00 833	მაკაბი-ბაიერი	1,05	12,0	6,0
23.30 834	კრკა-სკავოლინი	1,8	12,0	1,6
23.30 835	პარტიზანი-პლანია	1,05	12,0	6,0
23.30 836	პო ორტეზი-ეფესი	1,7	12,0	1,7

კალათბურთი. ევროლიგა. 1/8 ფინალი. III მატჩი

15 თებერვალი

22.30 837	პაოკ-ოლიმპია	1,45	12,0	2,1

ჰოკეი

15 თებერვალი

04.00 916	ბუფალო-ატალანტა	1,4	4,0	4,4
04.00 917	ოტავა-კოლორადო	2,1	4,0	2,1
04.30 918	ფილადელფია-ტორონტო	1,65	4,0	2,8
04.30 919	ტამპა ბეი-ბოსტონი	2,2	4,0	2,0
05.00 920	სენტ ლუისი-კალგარი	1,4	4,0	4,4

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

სადაც საქმეა, იქ შურიც და ეჭვიცაა

მორაგბეთა პრეზიდენტი ფულის წასართმევად გვეპატიჟება

ჩვენი ულიმლამო სპორტული ცხოვრება მორაგბეებმა გაახალისეს. საქართველოს ნაკრები „ერთა თასის“ მეორე გათამაშებაში ჩაება, რომელიც იმავდროულად 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა. „ბორჯღალოსნებმა“ ჩინებულად დაიწყეს ასპარეზობა, სტუმრად ჰოლანდიის ნაკრები დაამარცხეს და პირველი ქულები მიითვალეს. ამასობაში დედაქალაქში ხმა დაირხა, მავანთა ჯგუფმა რაგბის კავშირს უგანა და ალტერნატიული კავშირის ჩამოყალიბებას აპირებსო. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტთან, ბიძინა გეგიძესთან საუბარი ორმაგად საინტერესო იყო — ქართული რაგბის უპირველესი ხელმძღვანელი ამსტერდამული მატჩის თვითმხილველი გახლავთ და ქართული რაგბის ავ-კარგზე საუბარსაც არ დაგვზარდა.

— ტურნირის დასაწყისს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ არა მარტო ხელმძღვანელები, არამედ თვითონ მორაგბეებიც. ძალიან ცუდ პირობებში მოგვიწია თამაშმა. გარდა იმისა, რომ მოედანზე თოვლი იდო, მთელი მატჩის განმავლობაში წვიმდა და ძალიან ცივდა. მორაგბეებს ხელ-ფეხი გაეყინათ, მაგრამ ბიჭებს ერთხელაც არ დაუწუწუნიათ, პირიქით, ერთმანეთს ამხნევებდნენ და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს. ჰოლანდიელები უამინდობას უნდა უმადლოდნენ, უფრო დიდი ანგარიშით რომ არ მოვუგეთ.

— ნაკრების ახალბედაზე, გრეგუარ იაშვილზე, მინდა გკითხოთ...

— გრეგუარი წარსულში სახელოვანი ფრანგი მორაგბის, შიმელ იაშვილის უფროსი ვაჟიშვილია. მისი უმცროსი ძმა დიმიტრი საფრანგეთის ოც წლამდე ნაკრების წევრია. როდესაც მას შეეხვდი, მითხრა, ძალიან ვამაყობ, რომ საქართველოს ღირსებას ვიცავ, ჩემი ძმა კი — საფრანგეთისო. რაც შეეხება გუნდთან შეწყობას, ამასთან დაკავშირებით მას არანაირი პრობლემა არ შექმნია, თითქოს ბავშვობიდან შეთამაშებული იყო თანაგუნდელებთან. ხასიათით და ქცევებით ნაღდი ქართველია. გარდა იმისა, რომ კარგი მორაგბეა, გრეგუარი ჩინებული პიროვნებაცაა. ჩვენ მის სათანადოდ დახვედრას ვაპირებთ, თუ როგორ, წინასწარ არ გავამხელ. ისე, იდეები და გეგეებები არ დაგვეწუნება, მაგრამ პრობლემები თავისას აკეთებს.

— პრობლემები ახსენეთ. ყველაზე დიდი პრობლემა დღესდღეობით კეთილმოწყობილი რაგბის სტადიონის არქონაა. „მზიურში“ რაგბის სპეციალური მოედანი შენდება, რა სტადიაშია დღეს მშენებლობა?

— უზარმაზარი მოცულობის სამუშაოს გაწევა მოვასწარით. ეს ტერიტორია ნაგავსაყრელად იყო ქცეული, ჩვენ გავასუფთავეთ და ნარგავებიც დავრგეთ. თავიდან ადგილობრივი მოსახლეობა დაგვცინოდა, არავის სჯეროდა, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე რაიმეს გაკეთება შეიძლებოდა. სულ მალე კანალიზაციის მილები ჩავყარეთ და წყალი გამოვიყვანეთ. ჯერჯერობით ერთ პრობლემას გადავაწყდით. არის ასეთი ახალი საშენებლო მასალა — გეოტექსტილი, რომელიც სადრენაჟო ფენის შემდეგ უნდა დავაგოთ. კონსულტაციისთვის კომპეტენტურ პიროვნებებს მივმართეთ, რომლებმაც მისი მოძიება თურქეთში გვირჩიეს, მაგრამ ვერც იქ აღმოვაჩინეთ. გეხსომებათ, შარშან პროფესიით არქიტექტორი, ფრანგული კლუბ „ბეგლ-ბორდოს“ პრეზიდენტი მიშელ მოგა თბილისს სტუმრობდა, იგი სტადიონის მშენებლობის გეგმასაც გაეცნო და დახმარება აღგვითქვა. ჰოდა, მოგასაც შევეხმაინეთ და გეოტექსტილის შეღავათიან ფასში შესყიდვა ვთხოვეთ. როდესაც ხსენებულ მასალას შევიძენთ და ბალახსაც დავთესავთ, საქართველოში რაგბის კეთილმოწყობილი სპეციალური სტადიონი გვექნება. გარდა ამისა, გვერდით სათადარიგო მოედანსაც მოვაწყობთ.

— რა სახსრებით შენდება სტადიონი?

— რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) გრანტი გამოგვიყო. მათ იცოდნენ, რომ ჩვენი ძირითადი პრობლემა რაგბის სტადიონის უქონლობა იყო, მაგრამ დაფინანსებაზე ძლივს დავიყოლიეთ, რადგან სტადიონის აშენება თვითონ სახელმწიფოს ინტერესებში უნდა შედიოდეს. მიუხედავად იმისა, მაინც შევძელით IRB-ის ხელმძღვანელთა დარწმუნება ჩვენი თხოვნის მართებულობაში და რაგბის საერთაშორისო საბჭომაც საჭირო თანხა გადმოგვირიცხა. ქალაქის მერიამ კი ტერიტორია დაგვითმო. სამწუხაროდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არანაირი დახმარებას არ ვიღებთ და ჩვენი მწირი სახსრებით როგორღაც ვახერხებთ სტადიონის მშენებლობას, მართალია ისეთ ტემპში არა, როგორც ვაკეში რკინიგზის დეპარტამენტი აკეთებს, მაგრამ მაინც.

— შარშან მიშელ მოგასთან ერთად თბილისში IRB-დან მოვლინებული რობერტო ანტონინიც იმყოფებოდა. მაშინ სტუმრებმა გირჩიეს, მწვრთნელთა ტესტირება მოგეწყოთ, რომელიც უკვე ჩატარდა. ამ დღეებში კი სემინარები უნდა გაიმართოს...

— დიახ. ტესტების შედეგად გამოვლინდა ოცდახუთი მწვრთნელი, რომლებსაც საერაუდოდ იტალიელი სპეციალისტი ჩაუტარებს სემინარებს. ვინც თეორიულად და პრაქტიკულადაც დააკმაყოფილებს IRB-ის მოთხოვნებს, IRB-ის პირველი ხარისხის დიპლომი მიეცემა.

— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, რაგბის კავშირი წინ მიიწევს და საქმეც კეთდება. მაინც რის გამართლებაა თქვენი ოპონენტები, რომლებიც ალტერნატიული კავშირის ჩამოყალიბებას აპირებენ?

— იცით, რა არის? ოპონენტი შეიძლება იყოს სერიოზული და არასერიოზული. ამ თემაზე საუბარი არ მსურს, ერთს კი გეტყვით. რაგბიში არის გარკვეული ფასეულობები, რომელთა ხელყოფაც დასაგმობია. იმ ფორმით დაპირისპირება, რომელიც თქვენს მიერ ნახსენებმა ხალხმა აირჩია, ყოვლად მიუღებელია. ამას ვაცხადებ როგორც მორაგბე და არა როგორც კავშირის პრეზიდენტი. კიდევ კარგი, ისინი ერთეულები არიან და უმრავლესობა უფრო საღად აზროვნებს.

— ბევრის აზრით, მორაგბეთა ტრანსფერებიდან შემოსული თანხა პირადად თქვენსა და კავშირის სხვა მაღალჩინოსანთა ჯიბეში ილექება...

— სასაცილოდაც არ მყოფნის ეს ნათქვამი. საშველი არ არის. როგორც კი რაღაც კარგად კეთდება, შურიანი და ეჭვიანი ხალხი მაშინვე წამოყოფს-ხოლმე თავს. ეს არის მარაზმი! ასეთი რამ არ შეიძლება. ჯერ ერთი, ქართველი მორაგბეები არ იყიდებიან, არ არსებობს კონტრაქტები. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, მორაგბეები საქართველოდან გაგვეყვანა, რათა ელემენტარული პირობები ჰქონოდათ და თამაშისთვის თავი არ დაენებებინათ. მოვაწყვეთ ფრანგულ კლუბებში, მერე იქაურებს ნელ-ნელა შევ[illegible]ერეთ და საკომპენსაციო თანხა დავტყუეთ, რომელიც მთლიანად ეროვნულ ნაკრებს ხმარდება და შედეგიც სახეზეა. მაჩვენონ ერთი, ვის ჯიბეში ილექება ის ფული, წავიდეთ ერთად და წავართვათ. ღმერთმა ინებოს, ისე გავმდიდრდეთ, რომ ჯიბეშიც ჩავიდოთ. მერწმუნეთ, ჩვენი მორაგბეების ჩარიცხვა ფრანგულ კლუბებში ძალიან დიდი პრობლემაა. ფრანგებს თვითონაც საკმაოდ ჰყავთ მაღალი კლასის მორაგბეები და უცხოელები გულზე სულაც არ ეხატებათ. დღეს ოცდათხუთმეტი ლეგიონერია საფრანგეთში და მიგრაცია კიდევ გრძელდება. ვისი დამსახურებაა ეს? თავის დროზე პირადად მე გავაკეთე აქცენტი ფრანგ მწვრთნელზე, საფრანგეთში მოღვაწე ზაზა ქასაშვილი კავშირის ვიცე-პრეზიდენტად დავნიშნე, რაღაც გავთვალე, რაღაც გავრისკე და შედეგიც მივიღე.

ბაჩო სვანიძე

გადმოსვლა ჯერარნახული

დაკარგული მნვრთნელი და ნაპოვნი ვარსკვლავი

მსოფლიოს ჩემპიონ ავსტარლიის ნაკრებში მომავალ შემოდგომაზე დიდი ცვლილებებია დაგეგმილი. „ვოლაბების“ მთავარმა მწვრთნელმა როდ მაკქუინმა ორიოდ დღის წინ განაცხადა, რომ სექტემბერში თანამდებობიდან გადადგება.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს ჩემი წასვლის საუკეთესო დროა“ — განაცხადა 51 წლის მაკქუინმა, რომელიც თავისი ქვეყნის უპირველეს გუნდს ოთხი წლის მანძილზე მოძღვრავდა. ამ ხნის განმავლობაში „ვოლაბებმა“ 32 გამარჯვება იზეიმეს, 1 მატჩი ფრით დამთავრეს და 7-ჯერ იწვნიეს მარცხის სიმწარე. ტიტულების მხრივ მაკქუინის ეპოქა განსაკუთრებით ბარაქიანია: 1999 წელს ავსტრალია მეორედ დაეუფლა მსოფლიოს თასს, შარშან კი ისტორიაში პირველად გახდა „სამი ერის პირველობის“ გამარჯვებული. გარდა ამისა, ავსტარლიამ ზედიზედ სამჯერ წარმატებით დაიცვა ბლედისლოუს თასი ახალი ზელანდიის ხელყოფისაგან.

გაზეთ „ავსტრალიენის“ თანახმად, მაკქუინის შემცვლელი ნაკრებს წლევანდელი „სამი ერის პირველობის“ დასრულების შემდეგ ჩაიბარებს. იგი, სავარაუდოდ, კანბერას ამჟამინდელი თავკაცი ედი ჯონსი იქნება, რომელიც ავსტრალიას ოქტომბერ-ნოემბრის ტურნეში წარუძღვება კანადის, უელსის, ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ.

ავსტრალიის რაგბის კავშირის პრესატაშემ სტრეიტ გორდონმა განაცხადა, რომ კავშირს სურს, ახალმა მწვრთნელმა მაკქუინთან ერთად უკვე ივლისიდან იმუშაოს და „სამი ერის პირველობის“ შემდეგ მანქანის გასალებიც ჩაიბაროს.

„ვოლაბები“ აღნიშნული ტურნირის ბოლო მატჩში, 1 სექტემბერს, ახალ ზელანდიას უმასპინძლებენ. იმ შეხვედრაში როდ მაკქუინის გარდა ამჟამინდელი კაპიტნის, ჯონ ილზის გაცილებაცაა დაგეგმილი.

ამ ორმაგი პენსიაზე გასვლით ნაკრებმა ძლიერ რომ არ იზარალოს, კავშირთან პრეზიდენტმა ჯონ ონილმა ახლავე დაიწყო ახალი ვარსკვლავების ძებნა.

იპოვა კიდეც...

ლიგის რაგბის 26 წლის სუპერვარსკვლავმა ვენდელ სეილორმა ონილის წაქეზებით მშობლიურ 13-კაცა რაგბის უგანა და 4-წლიანი კონტრაქტი დადო ავსტრალიის რაგბის კავშირთან, რაც ლამის უპრეცედენტო შემთხვევაა და აი, რატომ.

ლიგის რაგბის 1895 წელს ჩაეყარა საფუძველი ჩრდილოეთ ინგლისის მუშური კლუბების ძალისხმევით, რათა ღარიბ მორაგბეებს ოვალური ბურთით საარსებო საშუალება ჰქონოდათ. ჩვეულებრივ რაგბიში ეს შეუძლებელი იყო, რადგან სპორტის ამ სახეობის მესვეურებს არ სურდათ სამოყვარულო პრინციპებისთვის ეღალატათ. 1907 წელს უძლიერესი სიდნეელი მორაგბე დელი მესინჯერი ლიგაში გადაბარგებულა და იქიდან მოყოლებული ლიგა რაგბის უმოწყალოდ ფცქვნიდა. საბოლოოდ ავსტრალიაში ლიგა უპირველეს ეროვნულ სპორტად ქცეულა.

ვითარება 1990 წლიდან შეიცვალა. ავსტრალიურ ლიგაში შინაარეულობა დაიწყო და მწვანე კონტინენტზე რაგბიმაც მხნედ გაშალა მხრები. 1991 და 1999 წლებში მსოფლიოს თასის მოპოვებამ რაგბის წისქვილზე დაასხა წყალი, თანაც 1995 წელს რაგბი პროფესიული გახდა. ჰოდა, მორაგბეებმა ლამის ლიგური შემოსავლები რომ მიიღეს, 13-კაცაში გადასვლაზე ფიქრს უკლეს. ახლა კი პირქითაც ხდება.

„მინდა, ჩემი ქვეყნის ღირსება 2003 წლის მსოფლიოს თასზე დავიცვა“ — განაცხადა შავკანიანმა სეილორმა. თუმცა აქ შიშველი პატრიოტიზმის გარდა ფინანსური ინტერესიცაა. ავსტრალიური პრესის თანახმად, სელორი, რომელსაც „ლიგის რონალდოს“ უწოდებდნენ, ყველაზე მაღალანაზღაურებადი მორაგბე გახდება მთელ ავსტრალიაში. თუ რამდენი ერგება კონტრაქტის მიხედვით მას წლიურად, ჯერჯერობით არ ახმაურებენ, მაგრამ ამბობენ, რომ სეილორს ავსტრალიის რაგბის კავშირი ჯონ ილზზე ორჯერ მეტს (!) გადაუხდის.

მარჯვენა გარემარბი სეილორი თავის გუნდებში უპირველესი მელოვანია. იგი თავისი ქვეყნის ოთხგზის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია. ლიგელთა მსოფლიოს თასის ფინალში, რომელიც შარშან ბრიტანეთში გაიმართა, მან ორჯერ დაალესოვა ახალზელანდიელები და ავსტრალიის გამარჯვებაში (40:12) ლომის წილი დაიდო. ქვინზლენდის „შინდისფერებისა“ და ბრისბენის „ველური ცხენების“ წევრს ლიგური კონტრაქტები ოქტომბრის ბოლოს უმთავრდება და შეიძლება იგი უკვე საშემოდგომო ტურნეს დროს დაეხმაროს „ვოლაბებს“.



ლიგაში მობურთალი ვენდელ სეილორი ახლა რაგბის დაამშვენებს

2002 წლიდან სეილორის დამატების სურვილი „ზე 12-ის“ მონაწილე სამივე ავსტრალიურმა გუნდმა გამოთქვა, თუმცა საბოლოოდ იგი, ალბათ, თავისი შტატის, ბრისბენის „წითლებში“ ჩაირიცხება.

ჯონ ონილი ვენდელ სეილორის გადაბირებით არ კმაყოფილდება და უნდა, 23 წლის დარენ ლოკიარი და 28 წლის რაიან გერდლერიც წაჰგვაროს ლიგას, რომელსაც ცრუ სპორტს უწოდებს. თუ მან ესეც მოახერხა, მაშინ „ვოლაბებს“ გარე ნახევარმცველის ადგილზე სტივენ ლარკემის ხეირიანი შემცვლელებიც გაუჩნდებათ.

გაგი გურული

სამის ნაცვლად ხუთი?

რაგბის საერთაშორისო საბჭომ ახალი პროექტი შეიმუშავა. საქმე ეხება „სამი ერის პირველობის“ გაფართოებას. თავად იდეა კი ავსტრალიის რაგბის კავშირის თავკაცის ჯონ ონილისგან მოდის.

ონილის აზრით, „სამ ერში“ მონაწილე ავსტრალიას, ახალ ზელანდიას და სამხრეთ აფრიკას ევროპული საფრანგეთი და ინგლისი უნდა დაემატონ, რაც ტურნირს უფრო მიმზიდველს და საინტერესოს გახდის. იდეას უმალ რაგბის საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარემ ვერნონ პიუ გამოეხმაურა და სამშაბათს პრესკონფერენციაც გამართა. „მე გავითვალისწინე საფრანგეთისა და ინგლისის ბოლო ათი წლის შედეგები და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ორივე გუნდი ღირსია, სამხრეთ ნახევარსფეროს ბობოლა ნაკრებებს ეპაექროს. რაც მთავარია, ტურნირი უფრო მეტ ტელეაუდიტორიას მოუყრის თავს, გაიზრდება სტადიონზე მოსულ მაყურებელთა რიცხვიც, ამას დაუმატეთ სარეკლამო კომპანიიდან შემოსული ფული. ერთი სიტყვით, შემოსავლები გაიზრდება, რაც რაგბის განვითარებას ხელს შეუწყობს“ — განაცხადა პიუმ.

პროექტი თავისთავად საინტერესო და მიმზიდველია, მაგრამ იდეის ავტორ ონილს ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა. კერძოდ, IRB-ის სხვა მაღალჩინოსნები შიშობენ, რომ „სამი ერის“ „ხუთ ერად“ ქცევამ შეიძლება „ექვსი ერის ჩემპიონატი“ და მსოფლიოს თასი ჩრდილში მოაქციოს და მათ მნიშვნელობას აზრი დაუკარგოს. თავად ინგლისის და საფრანგეთის რაგბის კავშირის ხელმძღვანელები თანახმა არიან, სამ ფრონტზე იბრძოლონ, მაგრამ რას გადაწყვეტს რაგბის საერთაშორისო საბჭო, ამას მომავალი გვიჩვენებს.

გაჩო სვანიძე

ასოციაციამ სეზონი გახსნა, რკინიგზამ ბალახზე გაიარა

ეძვსი თვეა, რაც ორად გაიყო ქართული ჰოკეის (ბალახის) სამყარო. სპორტის ამ სახეობაში დასაქმებულთა ნაწილმა გასულ ზაფხულს საბოლოოდ გაწყვიტა ურთიერთობა საქართველოს ჰოკეის ფედერაციასთან და დამოუკიდებელი ორგანიზაცია — საქართველოს ჰოკეის ასოციაცია დაარეგისტრირა, რომლის ეგიდითაც შემოდგომაზე ვაჟთა და ქალთა გუნდებს შორის ქვეყნის ჩემპიონატი და თასის გათამაშება მოეწყო.

ასოციაციის მესვეურნი საახალსეზონოდაც ბევრ ღონისძიებებს გეგმავენ. ერთი-ერთი ასეთი ჩაატარეს კიდეც: ახლახან ქუთაისში გაიმართა ასოციაციის პირველი ჩემპიონატი ინდორ (დარბაზის) ჰოკეიში ვაჟთა გუნდების მონაწილეობით. შეჯიბრებამ ქუთაისის ოთხ, ბათუმის ორ და წყალტუბოს გუნდებს მოუყარა თავი. მერვე — თბილისის „მეხანძრე“, რომელსაც ამათთან ერთად უნდა ეასპარეზა, უსახსრობის გამო დაკლდა ჩემპიონატს.

მონაწილენი თავიდან ორ ჯგუფად გაიყვნენ. აქ თამაში არ გაჭირვებია ქუთაისის „ლოკომოტივს“, რომელმაც დამაჯერებლად სძლია მეტოქეებს და ფინალისტი შეიქნა. მეორე ჯგუფში ფავორიტებად ქუთაისის „უქიმერიონი“ და ბათუმის „ლოკომოტივი“ ითვლებოდნენ და, გასაკვირიც არ არის, რომ შედარებით იოლად გაუმკლავდნენ მოწინააღმდეგეებს და ძალების დაძაბვა ურთიერთშეხვედრაში მოუხდათ. ქუთაისელები თითქმის მთელი თამაში წინ იყვნენ და გამარჯვებაც თითქოს მათ უნდა რგებოდათ, მაგრამ ბათუმელმა რკინიგზელებმა მატჩის მიწურულს ჯერ გაათანაბრეს ანგარიში და მერე გამარჯვების გოლიც გაიტანეს. ნიკო ბარამიძის შეგირდებმა ეს შეხვედრა 7:6 მოიგეს და ფინალში ქუთაისელ თანაკლუბელებს დაუპირისპირდნენ.

სავარაუდო იყო, რომ ბათუმელები გადამწყვეტ შეხვედრაშიც არ დაუდებდნენ ტოლს გამოცდილ მეტოქეს, ოღონდ ამჯერად ხელმოცარულნი დარჩნენ. ქუთაისურმა „ლოკომოტივმა“ (მწვრთნელი დავით მოდებაძე) აღმავლობით ითამაშა და თავისი უპირატესობა ანგარიშშიც კარგად გამოხატა — 13:5. ასე რომ, ასოციაციის პირველი ჩემპიონი ინდორ ჰოკეიში ქუთაისის „ლოკომოტივი“ გახდა, ბათუმისა კი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. მესამე პრიზიორი ქუთაისური გუნდების „უქიმერიონისა“ და ასკ-ს დრამატულმა პაექრობამ დაასახელა. არმიელებმა (მწვრთნელი ერასტი გოგავა) 11:10 იმარჯვეს. მეზუთე ადგილისათვის ქუთაისის „იმედმა“ 6:2 აჯობა ბათუმის „ჰონტოს“. ბოლო ადგილზე ნორჩი ჰოკეისტებით დაკომპლექტებული წყალტუბოს „ხვამლი“ დარჩა.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ გამარჯვებული გუნდის წევრი დავით გოგობერიშვილი აღიარეს, ყველაზე პერსპექტიულ ჰოკეისტად კი თემურ თოდრაძე („იმედი“) დასახელდა.

ასოციაციამ წინა სეზონის შედეგებიც შეაჯამა და აქაც გამოავლინა რჩეულნი. 2000 წლის საუკეთესო ჰოკეისტებად მიჩნეულ იქნენ: ვაჟებში — მირზა ხასია (ქუთაისის „ლოკომოტივი“), ქალებში — ნინო დევაძე (ბათუმის „კოლეჯი“). საუკეთესო მწვრთნელებად დასახელდნენ: ვაჟთა გუნდებში — დავით მოდებაძე (ქუთაისის „ლოკომოტივი“), ქალთა გუნდებში ნიკო ბარამიძე — (ბათუმის „კოლეჯი“). ასოციაციის მესვეურნი უფრო შორსაც წავიდნენ — ქართული ჰოკეის 27-წლიან ისტორიაში რჩეული გუნდი, მოთამაშეები, მწვრთნელი და მსაჯები დასახელეს და დაასაჩუქრეს. ეს რიტუალი ძველი და ახალი თაობების ჰოკეისტთა შეხვედრაზე შედგა.

გასული საუკუნის საუკეთესო გუნდად მიჩნეული იქნა პირველი ქართული ჰოკეის გუნდი — 1974 წლის ქუთაისის „ლოკომოტივი“. უძლიერეს ჰოკეისტ ვაჟად დასახელდა ჭიჭიკო ბაზაძე, ვისაც ქუთაისის „ლოკომოტივში“ 1974-1987 წლებში უთამაშია. ქალთა შორის ეს პატივი ყოფილი სსრკ-ს 1988 წლის ჩემპიონის ახალგაზრდებს შორის, ქუთაისის „უქიმერიონის“ წევრს მედეა მამარდაშვილს ხვდა. საუკეთესო მეკარედ აღიარეს ერთადერთი ქართველი, ვისაც სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში უთამაშია — მამუკა ჯოჯუა (1983-1990 წლებში ქუთაისის „ლოკომოტივის“ ღირსებას იცავდა). საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა ავთანდილ თევდორაძე, ვისი ხელმძღვანელობითაც ქუთაისის „უქიმერიონის“ გოგონათა გუნდმა 1988 წელს ახალგაზრდებს შორის სსრკ-ს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. საუკეთესო მსაჯებად აღიარებული იქნენ თბილისელი არჩილ რუხაძე და ბათუმელი ნოდარ შანიძე.

ასოციაციის ჩემპიონატი ინდორ ჰოკეიში ქალთა გუნდებს შორის ამ თვის ბოლოს გაიმართება.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



ტაი-ბრეიკი

თუ ელექტროფოსტით ამ ქალის სურათს მიიღებთ, ეგრეგე წაშალეთ

უფრთხილდით ანას

თუ ინტერნეტით ხშირად სარგებლობთ და რომელიმე უცნობი ან ნაცნობი კეთილის მსურველისგან ანა კურნიკოვას ფოტოსურათი მოგივიდათ საჩუქრად, გირჩევთ, რუსი ლამაზმანის ხილვის ცდუნებას გაუძლოთ: სპორტის სექს-სიმბოლოს ნაცვლად ხელში კომპიუტერული ვირუსი შეგრჩებათ.

ბოლო დღეებში ვირუსმა მნიშვნელოვნად შეანელა ელექტრონული ფოსტის სისტემების მუშაობა, ზოგიერთი კომპანია კი აიძულან საერთოდ უარი ეთქვა კავშირის ამ ფორმაზე. „კურნიკოვა“ თითქმის იმავე სწრაფვით გავრცელდა მსოფლიოში, რომელიც შარშან ვირუსი „I LOVE YOU“, რომელმაც ათეულობით მილიონი დოლარის ზარალი მოიტანა. ერთადერთი დადებითი ცნობა კი ის არის, რომ ახალი ვირუსი საბოლოოდ არ აფუჭებს კომპიუტერებს.

ევროპაში მავანი ინტერნეტ-ხულიგნების მიერ წარმოებული პროგრამა შემდეგნაირად მოქმედებს: ადრესატებს მისდით გზავნილი „ANNA KOURNIKOVA PG.VBS“, რომელიც მიმღებს სურათით დატკბობას სთავაზობს. სინამდვილეში 19 წლის რუსის ნაცვლად ვირუსი თავად შემოიჭრება თქვენს კომპიუტერში, თანაც შეეცდება ყველა დამახსოვრებულ მისამართზეც გაგზავნოს წერილი თქვენი სახელით.

„ვალენტინობის დღესთან სიახლოვის გამო ასეთი რამ ადამიანების ყურადღებას უფრო იპყრობს. ისინი მეგობრებისგან, ნაცნობებისგან რაიმე ბარათის ან სურათის მიღებას ელიან და ყურადღებას აღუნებენ. თანაც ვირუსის შემქმნელებმა ზუსტად გაითვალისწინეს კურნიკოვას სექსუალური მიმზიდველობის ზეგავლენა კომპიუტერთან მოკალათებულ ჩვეულებრივ ყმაწვილებზე“ — მიაჩნია ერთი მსხვილი ანტივირუსული საკვლევი ცენტრის თავკაც ვინსენტ უიფერს.

ხიფათი კორტზე

გასულ უქმეებზე დავისის თასის მერვედფინალებში ჩოგბურთის ორ ვარსკვლავს უცნაური ინციდენტები შეემთხვა. შვედი მაგნუს ნორმანი პარასკევს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, კინაღამ მეტოქის მსხვერპლი შეიქნა: მსაჯის გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა ჩეხმა ირჟი ნოვაკმა ბურთს ჩოგანი მთელი ძალით ხეთქა და პირდაპირ სკამდინავიელს გაარტყა, რომელიც ტკივილისგან იქვე ჩაიკეცა. ნორმანმა ჩეხის მობოდიშება კი მიიღო, თუმცა შური ხუთსეტიანი მატჩის მოგებით იძია.

ალექს კორეჩა ტრავმას მხოლოდ საკუთარ თავს თუ დაებრალებს. ჰოლანდიელების წინააღმდეგ წყვილებში ასპარეზობის დროს ესპანელმა შესვენება ითხოვა და გასახდელისკენ დაიჩქარა. გზად ერთი მინის კარის გაღება მან ხელის მაგივრად ფეხით გადაწყვიტა, ძალა ვერ მოზომა და ნამსხვრევებით რამდენიმე ადგილზე გაიჭრა. კორეჩამ თამაშის გაგრძელება კი შეძლო, მაგრამ ხუან ბალესტერსთან ერთად მასპინძლებს ვერაფერი მოუხერხა — შარშანდელი ჩემპიონები წლეულს ასპარეზობას პირველივე წრეში გამოეთიშნენ.

მასტერ-კრიზისი

თქვენ წარმოიდგინეთ, სხვადასხვა ჯიშისა და სიდიდის კრიზისები მხოლოდ საქართველოსთვის კი არა, ისეთი უზრუნველყოფილი და ჯიბესქელი ორგანიზაციისთვისაც ყოფილა დამახასიათებელი, როგორც ATP-ია. თანაც საფრთხე კაც ჩოგბურთელთა ტურის ყველაზე პრესტიჟულ — მასტერსის სერიის პირველობებს ემუქრება.

ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ. 1999-ის აპრილში მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა სპორტული მარკეტინგის სააგენტო ISL-მა მონტე კარლოში საუკუნის კონტრაქტის შესახებ აუწყა საზოგადოებას — ათი წლის განმავლობაში სატელევიზიო და სხვა უფლებების სანაცვლოდ ის ATP-ისთვის ყოველწლიურად 100 მილიონი დოლარის გადახდას კისრულობდა. „მერსედეს სუპერ 9-ის“ სერიის ტურნირების სახელწოდება შარშან „მასტერსად“ გადაკეთდა, ISL-ის მოთხოვნით კი მათმა ორგანიზატორებმა ყველა ძველ სპონსორს ზურგი შეაქციეს.

ყველაფერი კარგად გამოიყურებოდა, სანამ რამდენიმე კვირის წინ კაცთა ჩოგბურთის ასოციაციის თავკაც ლარი სკოტს საგანგაშო ამბავი შეატყობინეს: „ISL-მა მოულოდნელად განგვიცხადა, რომ გადახდა აღარ შეეძლო. ფინანსური პოზიცია ბოლო თვეებში დრამატულად შეიცვალა, ახლა ვცდილობთ ძველი კონტრაქტის ნაწილი მაინც შევინარჩუნოთ“.

ISL-ს თურმე ძირი ძველმა აღმასრულებელმა დირექტორმა ჰაინც შურტენბერგერმა გამოუთხარა მფლანგველობით. ორი მეორეხარისხოვანი ბრაზილიური კლუბის ყიდვა და აშშ-ის საუნივერსიტეტო კალათბურთის უფლებებში 830 მილიონის შეთავაზება ლამის კატასტროფით დასრულდა: კომპანიას გაკოტრება ჯერჯერობით არ ემუქრება, მაგრამ ჩოგბურთში ფულის წარუმატებელ დაბანდებას ვეღარ აუვა.

ISL-ის წინდაუხედავი პოლიტიკის შედეგად ევროპაში „მასტერსის“ სერიის ტურნირების ტელევიზორში ნახვა თითქმის შეუძლებელი გახდა. ყველასთვის მისაწვდომი „ევროსპორტის“ ნაცვლად მას მხოლოდ პატარა კომერციული არხები — „სთრიმი“ და „ონდიჯითალი“ უჩვენებენ. როგორც ამბობენ, მხოლოდ შარშან წაგებამ 70 მილიონი დოლარი შეადგინა.

ასე რომ ISL თამაშიდან გამოდის, „მასტერსის“ ტურნირების ორგანიზატორებს კი 12 თვე რჩებათ ახალი სპონსორების მოსაძებნად ან მომდურებული ძველების შემოსარიგებლად.

ნონ-სტოპ-მარტინა

მარტინა ნავრატილოვა

მარტინა ნავრატილოვა წლეულსაც დაატკბობს ჩოგბურთის მოყვარულებს თავისი ოსტატობით. 44 წლის ლეგენდარულ ჩოგბურთელს, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანსა და ასულობით ტიტულის მფლობელს, არავისთვის არაფრის დამტკიცება არ ჭირდება, მისთვის მთავარი საყვარელი საქმიანობით მიღებული სიამოვნებაა.

„შარშან ისეთი კარგი დრო გავატარე, რომ გადავწყვიტე, წლეულს მხოლოდ გართობის მიზნითაც ღირდა თამაში. ამას მოწყენილობის გამო არ ვაკეთებ, საქმე მართლაც ბევრი მაქვს — განუცხადა ფრანს პრესს ჩოგბურთელმა — ძალიან თბილი გამოხმაურება მივიღე, იდეა ყველამ მომწონა, ამიტომ გავრძელება სწორ არჩევნად მიმაჩნია“.

44 წლის ნავრატილოვა დიდი სპორტიდან ოფიციალურად 1994-ში წავიდა, თუმცა შარშან WTA ტურს დაუბრუნდა და წყვილებში 7 ტურნირზე ითამაშა. მადრიდში, უიმბლდონსა და ტოკიოში ის მეოთხედფინალისტი გახლდათ, ნიუ ჰეივენში კატარინა სრებოტნიკთან ერთად კი ნახევარფინალში გააღწია.

„არცერთი რეკორდის გაუმჯობესებას არ ვგეგმავ — ამბობს მარტინა, რომელსაც უიმბლდონზე ერთი ტიტული უკლია ბილი ჯინ კინგის მიღწევამდე (20) — მინდა, მაქსიმალურად ვისიამოვნო, თუ ეს მოხდება, მოხდება“.

წლეულს ნავრატილოვა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან არანჩა სანჩესვიკარიოსთან ერთად ითამაშებს დუეტში, როგორც პირობას დებს, 12 ტურნირზე მაინც: „როგორც მივხვდი, ჩემთან ერთად თამაში დიდ ზეწოლასთანაა დაკავშირებული, არანჩა ნამდვილი ჩემპიონია. ვიფიქრე, რომ ამ სიტუაციას ის უკეთ გაართმევდა თავს“.

ჩეხეთში დაბადებულმა, ამჟამად აშშ-ის მოქალაქე ნავრატილოვამ თავისდაც მოულოდნელად შარშან აღმოაჩინა, რომ მატჩების დროს მეტისმეტად ღელავდა: „ვარჯიშის დროს გაცილებით უკეთ ვირჯებოდი, თამაშის დროს კი ბევრ შეცდომას ვუშვებდი, რამაც ძალიან გამაღიზიანა. მნიშვნელობა არა აქვს, როგორ მოემზადები, სათამაშო პრაქტიკას ვერაფერი შეცვლის. თუმცა ამჯელა შესვენების პირობაზე, ვფიქრობ, ცუდად მაინც არ გამოვიყურებოდი“.

მარტინა სეზონის ბოლოს მეორედ და საბოლოოდ აპირებს კარიერისთვის წერტილის დასმას, თუმცა: „თუ შარშანდელივით ვისიამოვნე, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს“...

ავთანდილ სვანიძე



ᲕᲐᲘ, ᲕᲐᲘ...

ᲔᲰ, ᲕᲘᲜ ᲓᲐ ᲠᲐ ᲐᲚᲐᲠ ᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲐᲛ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲡ — ᲩᲘᲙᲐ�გᲝᲡ „ᲘᲣᲜᲐᲘᲗᲔᲓ ᲡᲔᲜᲗᲘᲐᲠᲡ“. „ᲑᲣᲚᲖᲘᲡ“ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲭᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲙᲘᲓᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ ᲘᲛ ᲔᲪᲝᲥᲐᲡ �გᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ, ᲛᲐᲘᲙᲚ ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ ᲣᲙᲐᲠ�გᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲡᲮᲕᲔᲑᲡ. ᲪᲘᲤᲠᲘ „72“ ᲙᲘ ᲩᲘᲙᲐ�გᲝᲔᲚᲗᲐ ᲘᲛ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡ �გᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ, 1995-96 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲣᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲐ ᲐᲛ �გᲣᲜᲓᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ „ᲑᲣᲚᲖᲡ“ 72 ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲣᲒᲘᲐ. ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ? ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ „ᲘᲣᲜᲐᲘᲗᲔᲓ ᲡᲔᲜᲗᲘᲐᲠᲨᲘ“ ᲑᲔᲓᲨᲐᲕᲛᲐ „ᲑᲣᲚᲖᲛᲐ“ 96:92 ᲛᲝᲣᲒᲝ „ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ ᲰᲝᲥᲡᲡ“ ᲓᲐ ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ (!) 42 ᲬᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ.

ᲬᲐᲛᲭᲔᲕᲘ

ᲔᲡ ᲯᲔᲤᲚᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲕᲘᲜᲛᲔᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ, ᲠᲣᲡᲘ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠ ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲣᲥᲪᲔᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲐᲣᲠᲗᲛᲔᲕᲘᲐ. ᲠᲣᲚᲝᲜ ᲒᲐᲠᲓᲜᲔᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲐᲗᲚᲔᲢᲘᲐ ᲓᲐ „ᲘᲡᲠᲘᲡ“ ᲯᲘᲚᲓᲝᲪ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ.

REUTERS ᲚᲐᲡ ᲕᲔ�გᲐᲡᲘᲓᲐᲜ

ᲓᲘᲔᲒᲝ, ᲩᲔ ᲓᲐ ᲤᲘᲓᲔᲚᲘ

ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲐᲡ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ, ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲔᲠᲜᲔᲡᲢᲝ ᲩᲔ ᲒᲕᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲓᲘᲔᲒᲝ ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲑᲔᲭᲗᲖᲔ ᲩᲔ ᲐᲮᲐᲢᲘᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲕᲘᲦᲐᲪ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲡ ᲘᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ, ᲑᲐᲠᲔ ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ �წᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲝᲙᲚᲣᲚ ᲩᲔᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐ ᲔᲮᲐᲢᲐ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲛᲙᲚᲐᲕᲖᲔ. ᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ. ᲡᲮᲕᲐᲤᲠᲘᲕ ᲙᲘ, ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐᲡ ᲠᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲖᲔᲪ ᲣᲧᲕᲔᲡ ᲚᲐᲑᲐᲠᲐᲙᲘ. ᲛᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲙᲐᲘᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲛᲙᲣᲠᲜᲔᲑᲔᲚ ᲙᲣᲑᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠ ᲤᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡ ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲗ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ, ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲣᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲚᲝᲙᲕᲔᲚᲘᲐᲝ. ᲩᲔ ᲙᲘ ᲘᲡ ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲙᲣᲑᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲤᲘᲓᲔᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ.

REUTERS ᲯᲣᲜᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ᲒᲐᲜᲗᲘᲫᲛᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲙ ᲠᲣᲐ, ᲚᲘᲒᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘ ᲛᲔᲙᲐᲠᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲮᲐᲜᲘᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ ᲔᲕᲔᲚᲐᲜᲨᲘᲡ“ ᲙᲐᲠᲨᲘ ᲓᲒᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲧᲝ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘᲡ „ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲔᲜᲡᲘᲡ“ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲡ ᲘᲪᲐᲕᲓᲐ. ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲨᲘ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲘᲥ ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ᲡᲐᲚᲘᲒᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲡ ᲑᲠᲘᲡᲑᲣᲐ, ᲑᲔᲜᲣᲐ ᲑᲠᲘᲣᲜᲔ ᲓᲐ ᲒᲘ ᲙᲐᲠᲑᲝᲜᲝᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲛᲐᲝᲜᲪ ᲛᲝᲘᲒᲔᲛᲡ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲐᲛᲓᲔ ᲬᲐᲛᲘᲪ ᲐᲦᲐᲠ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ „ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ“ — „ᲘᲣᲢᲐᲡ“ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲡ, 34 ᲥᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲛᲝᲕᲔᲑᲔᲚ ᲙᲠᲘᲡ ᲕᲔᲑᲔᲠᲡ ᲙᲝᲩᲘ ᲔᲝᲠᲫᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲒᲣᲜᲓᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲙᲝᲢ ᲑᲝᲚᲐᲠᲓᲛᲐ ᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲔ ᲓᲘᲕᲐᲪᲛᲐ ᲒᲐᲘᲧᲕᲜᲔᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲓᲐᲜ. „ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲙᲘᲜᲒᲖᲘᲡ“ ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲪ ᲘᲕᲐᲭᲙᲐᲪᲔᲡ ᲓᲐ 97:94 ᲛᲝᲘᲒᲔᲡ.



ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

მთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავთ გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge